შანტაჟით, თანაც სულ დრენით ათ წელს დაგვადგა უღელი მფორთხავმა ჰალსტუხაშიამ, მერე „მაედანს“ უგვერდა, რადგან ვერაფერს უგებდა და „ძიბილს“ მახეს უგებდა, როგორც თბილისში ჟვანიას.

დღეს პოლონეთშიც, უნგრეთშიც კვლავ სკამს დაეძვბს წუმპეში, თან გველი უზის უბეში ბილწსა და ქარახვეტიას. არადა, სხვა არც იყოს რა, ბევრი ფული რომ იყოსა, ვინ უფინანსებს მიხოსა ვარიანულად ხეტიალს?

ალექსანდრე შინბელია,

(გალაქტიონისეული ნუსხით თბილისელ-ქუთაისელი) (მიხოს პრეზიდენტობის ჩათვლითა და თავმოსხვეული კოჰაბიტაციით, საქართველოში ცხრა კი არა, ათ წელს გრძელდებოდა „ცოცხოსანთა“ ბატონობა)

მუზა

ზღუაშ ქვიზს ენომ უმინჯურო, კინოს ნწყვილი ღუფი ღუზა, წყარიშ თუღო გაქვარქვენა ჩხომფე ჭიფე ღო მღღუზა... მა ჭარუას თიწკმა იბჯანჭე გომიბიდან თუთა-მუზა... სი ჭარუა ვეშიელებდა, ვეშიელებდა, ვა მღღუზა... რამაზ კუპრა

მერაბ კოსტავას პოეზია

წინასწარმჩვრები და წინათმბრძნობი

მერაბ კოსტავა ეხიარა საღვთო სიბრძნეს, საღვთო სიყვარულს, მას მომადლებული პქონდა სულიერი თვალი, სულიერი ხელება, ესმოდა სფეროთა ქნარის ქვარა, ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით შექმლო გაელვია ვარსკვლავებს მიღმა, ეხილა სხვისთვის უხილავი, ეასიდა „კოსმოსის სუნთქვა“, განუჭვრიტა წარსული, აწმყო, მომავალი.

მერაბ კოსტავას პოეზიაში დასმულია ყველა დროისთვის აქტუალური ეროვნული თუ საკაცობრიო პრობლემები.

„რელიგიის ხედაშეს“ დაწვავებულ პოეტს გამოარჩევდა „საღვთო სინედლე“, „გული საუფლო“, „ციური ჭვრეტა, ციურთა თვალები“, „ზეციური მხედველობა“, საღვთო ჰანგი, ზეცის ზნეობა, ის მართლაც იყო „ხატი ღვთისა“, „საღვთო ზვარაკი“, „უმადლეხი მისანი“.

უმადლეხი პარამეტრებით, ზეციური, უცდომელი გადასახედიდან აფასებდა მოვლენებს, ქმნიდა ისტორიას ცისა და მიწის, ზომავდა „სულიების სიღრმეს“.

მერაბ კოსტავას შემოქმედების უმთავრესი პრობლემა ქრისტიანული რწმენისა და სახისმეტყველების საკითხებში, მისი ფილოსოფიური ღირებულება წარმოადგენს სოფლისა და ზესთანოფიის, სივარდელისა და სიკვდილის, ბიბლიური პარადიგმების გამოყენებით მიწისა და ცის, სიკეთისა და ბოროტების, ხორცისა და სულის საიდუმლოებათა უცდომელი გათავისებების ნიმუშს, ადამიანის დანიშნულების, როლის, ადამიანურის არსის ამოხსნას, მისი დაინდობების და უცხოებობის ძიებას, „სიჭველის ნათელით“ სულის ხსნის გზების ჩვენებას, ემსახურება სულის ზრდას.

მისი ღირსი პერსონაჟი „მსოფლიო კაცია“, მთელი კაცობრიობის ჩატივების დამტკიცებელი, პლანეტის ზღვარზე ჩაფიქრებული და, ამავე დროს, საკუთარი ერის, თვის-ტომის ადგილის მაძიებელი მიწაზე თუ ზეცაში, მიწიერ პლანეტაზე თუ კოსმოსში: „საქმეა იქვე მსოფლიო კაცად და არ უმუხლოდ ერსა და თვისტომს, ცის მაღალ ყელზე ვარსკვლავთა აცმას ჰმატო ზურმუხტი და ამეთვისტო“ (ტანჯვათა ტიტანი) (1,16-19).

მერაბ კოსტავა საქართველოს თანამდევ მარადიული სულია, პრესტიჟიდან მომავალი, მერმისის გზებს ადევნებული და ერის უკვდავებისთვის მლოცველი.

სულიერი ჭვრეტა, გონის თვალის ახელა, გულთა სმენა მას საშუალებას აძლევდა გაეღწია მოვლენების მიღმა, საცნაურ ეყო ხილული, არსებული, უხილავი და განუხაზვებელი მომავლისთვის განკუთვნილი სასიცოცხლო იმპულსები.

რამდენად შესაძლებელია ადამიანისთვის სულის მიღმა არსებულის დანახვა, მომავლის განჭვრეტა?

ბიბლიაში ორგვარ სიბრძნეზე კეთდება აქცენტი: მიწიერზე, წარმავალზე, ხილულზე, მატერიალურზე, ეშმაკურზე და მარადიულზე, ღვთისგან მოცემულ „სულიერ სიბრძნეზე“ (ბარუქ წინასწარმეტყველი, პავლე მოციქული).

მაგრამ ბიბლიაშივე გვხვდება დაეჭვება ადამიანურ ცოდნაზე: „ბრიყვია ყოველი კაცი თავისი ცოდნით“ (იერემია, 51,17) (2,177).

პავლე მოციქული საუბრობს წუთისოფლის სიბრძნის ამოცანაზე...

არსებობს ჭეშმარიტი, სულიერი, წმინდა, სამართლიანი სიბრძნე, რაც „უფალმა მხოლოდ“ ღვთისმოსავეებს მისცა“ (ისო ზირაქი, 44,33) (2,66).

მხოლოდ რწმენასთან, უზენაესთან წილნაერთ, სულიწმიდით მომადლებულთ ხელწიფებით მომავლის მაწვებელი ინფორმაციის მიღება: „როცა მოვა იგი სული ჭეშმარიტებისა, შევიძლებით ყოველ ჭეშმარიტებაში. თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენთ და მომავალს გაუწყობთ თქვენ“ (იოანე, 16,13) (3,215).

წინასწარმეტყველების უნარის მომნიჭებელია სულიწმიდა (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,9-11).

მაგრამ „სულიწმიდის სიღრმეში წვდომის უნარი მხოლოდ მათ ხელუწიფებთ, რომლებიც გაციისკრონდებიან უმწვერვალესი განუხრელი ღვთაებრივი ნათლის შუქით და სულის მიერ მოუხვეჭავენ სრულად აღურვენილი გონება“ (წმ. ნიკიტა სტივობე, წმ. სვიმეონ ღვთისმეტყველის საღვთო სიყვარულის ჰიმნებისათვის) (4,408).

სულიწმიდის ზეციურ მადლის მიღებისთვის აუცილებელია „წმიდა მცნებათა სწავლება“ (წმ. ნილოს სინელი) (4,112).

„მხოლოდ ის, ვინც თავს შესწირავს უზენაესის რჯულის შესწავლას, გამოიძიებს წინაპართა სიბრძნეს და წინასწარმეტყველებაში გაიწავება“ (სიბრძნე ზირაქისა, 39,1) (2,62).

„ის გარდასულისა და მომავლის მაწვებელია და დაფარულთა კვალის გამომცხადებელი“ (სიბრძნე ზირაქისა, 42,19) (2,65).

„ყოველივე უფალმა შექმნა და სიბრძნე ღვთისმოსავეებს მისცა“ (სიბრძნე ზირაქისა, 43,33) (2,66).

„სულიერ ხედვას“, „სულიერ თვალს“ სტირდება სიმდაბლე, სარწმუნოების მცნებათა სრულყოფილი ცოდნა (წ. ეპისკოპოსი ეგნატე) (5,435).

პავლე მოციქული განასხვავებდა „მიწიერ, მშვენიერ, ეშმაკურ სიბრძნეს“ და „მადლიდან გარდმეფენილ“ „წმინდა სიბრძნეს“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 2,13).

პოეტი ეძებდა „წარუვალ საუნჯეს“, იყო რწმენის მსახური, ერთგული დამცველი „საღვთო ზნეობის, საღვთო ეთიკის, საღვთო ადათების“. მის სულს ანათებდა „საღვთო ცეცხლი“, იყო „გაბრძნობილი მოძღვართ-მოძღვრის ზემოთგონებით“, გამუდმებით ეწაფებოდა „რელიგიურ ხედაშეს“, „სიბრძნე დაწმენილი“ ევლინებოდა, როგორც „ნათლის სვეტი“, საწერ მაგიდას აიგივებდა „წმინდა საკურთხეველთან“.

მერაბ კოსტავასთვის ლექსი იყო „საღვთო ზვარაკი“, „საღვთო ქორწილის“ მაყარი“ (ლექსი) (1,60-61).

პოეტის შემოქმედებაში ხშირად ფიგურირებს ჭეშმარიტება – სულიწმიდა. მასთან კი მხოლოდ ამაღლებული ზნეობის ადამიანები არიან წილნაწილნი: „უდრეკის ნებით ვინც წარისოცს სურვილებს მდარეს, მუდმივი წარაფვით მოიპოვებს ჭეშმარიტებას“ (ბიბლიური რემინისცენები) (1,91). „ჭეშმარიტებას იტყვის ორგზის ნაწრთში შეილი“ (იქვე, გვ. 94).

ბიბლიას გასდევს რწმენის ყოვლისშემძლეობის აზრი (პავლე მოციქული, ებრაელთა, თ. 11,1-34) (3,480-484).

მერაბ კოსტავა რწმენას სამყაროს მამორჩეველ ძალად მიიჩნევდა: „რწმენამ უდრეკიან შეარყიოს, შესძრას მთა-ბარი“ (ბიბლიური რემინისცენები) (1,87-104).

პოეტი ზნეობრივ სიწმინდეს მიიჩნევდა „სიბრძნის კარის“ გასაღებად: „იყავ უმწიკლო, ვითა ცხვარი“ (1,54).

ბიბლიური წინასწარმეტყველები, მოციქულები (ისო ზირაქი, იერემია წინასწარმეტყველი, პავლე მოციქული, იოანე მოციქული) უნდადგინებდნენ უცხადებდნენ „ხორციელ გონებას“, მაგრამ ყოველთვის იღვრებდნენ სიბრძნის სულიწმიდის ხელდასხმულთა შორის: „სიბრძნე... მყოფობს ყველა ხორციელში მისი ნიჭის მიხედვით, მიმადლის იგი მის მოყვარეებს“ (სიბრძნე ზირაქისა, 1,19) (2,35).

„ყოველ ჩვენგანს მოცემული აქვს მადლი ქრისტესმიერი ნიჭის ზომისაგან“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 4,7).

დანტეს ცენტრალიზებული ჩვენებრივითა შესაძლებლობები: „მომაკვდავია მხერა შენი, ხედვის უნარი“, „შემღებებს, ნები-სყოფას კაცთაგანის ფრთენი ასხია უთანაბრო ძალმოსილების“, „შენს მხერას თან ახლავს ზადი, შენს თვალს აკლას საკმარისი მხერის სიმამრე“ (6,347,361,399). ამასთან დანტე სულიერი თვალით ჭვრეტდა ზეციურთა სავანეს, „უზეშთაისის სათავეს“; „გჭვრეტდა... თამამად... სიდადეს უფლის ბაღისას“ (6,400). „...ხედავ სათავეს, უზეშთაისის მარადიულ ძალმოსილებას“ (6,361), „შე უკვე ვხედავ ფიქრების შენის აღმოცენებას“ (6,374).

ღვთისგან ხელდასხმული – დანტე, გოეთე, ცვაიგი, დოსტოვესკი, ბლოკი, დ. გურამიშვილი, გალაკტიონი. ტ. გრანელი, ნათელხილველები – ვანგა, ნოსტრადამუსი ხელდასხმულ სულს.

არსებობს ცოდნის ორი სახე – რაციონალური და ინტუიციური. მათ შორის არ არის უფსკრული (7,24,85).

იუნგი ინტუიციას მხედველობის ველში

რეალურად მოცემულს მიღმა ხედვას უწოდებდა და ტელეპატიურ ხედვას წინასწარმეტყველურ სიზმრებსაც უკავშირებდა (8,24).

მერაბ კოსტავა იხიარებდა რუდოლფ შტიინერის აზრს, რომ გრადლის ბარდიმს შეესაბამება ადამიანის ტვინის არეში არსებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანო ეპიფიზი, რომელიც ნათელხილვის ორგანოა და ადამიანის სპირიტუალურ უნარებთან არის დაკავშირებული (9,51).

XX ს. ქართულ პოეზიაში ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით გამოირჩნენ გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, ანა კალანდაძე. პროზაში წინაგრძობისა და წინასწარმეტყველების საოცარი მაგალითებით სამუდამოდ დარჩნენ ერის მესხიერებაში გრ. რობაქიძე, მის. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, თ. ჭიალაძე, გ. ჩოხელი, რ. მიშველაძე.

მერაბ კოსტავა ეძებდა „წარუვალ საუნჯეს“, „ნიჭის ზომას“ არ ეტყობა, ადამიანის შესაძლებლობების უსაზღვრობის აზრს უნერგავდა ბიბლიური სიბრძნე, რადგან ღვთის სახედ და ხატად შექმნილი ადამიანი დედამიწაზე ავლენდა შემოქმედების უნარს: „მხოლოდ კაცია გამართული, ღარივით სწორი, დასაბამიდან ვისაც სწავლობს სამყაროს დედა, დედამიწაზე მონინდრე არსებებს შორის, მხოლოდ მას ძალუბს მოეღვარე ვარსკვლავთა ჭვრეტა. სანამ არა აქვს, იბრძვის მუდამ მოსაპოვებლად, მოიპოვებს და კვლავაც რჩება უკმაყოფილო. ვით ხატი ჩემი, სინელებებს არ ეპუება, მიეღვრეს ახალს, ნაცვლად ძველის, ნაცვლად ყოფილის“ (ბიბლიური რემინისცენები) (1,88-89). „აწ მოსახდენის“ განსახდერა უზენაესის პერფორაცივით. სულიერი თვალის მომადლებულთა ხედავდა მომავლისათვის თვალის მიწვდენა (1,94).

ადამიანის მიზანია „შეიცნოს თავი, უმადლეხი გახდეს მისანი“ (ბიბლიური რემინისცენები) (1,100). შეიცნოს „სამერმისო ერის მისია“, „იმპულსები ზეეროვნული“, შეძლოს „ჭეშმარიტების... ჭვრეტა“ (შეშეილობა) (1,133).

„ყოველმხედველი“ ღმერთია (10,335). „ღმერთი ჭვრეტს ყოველივეს თავისი საღვთო, ყოვლისმხედველი და უნივერსალური, აწმყოსაც, წარსულსაც და მომავალსაც“ (10,342).

მერაბ კოსტავას პოეზიაში მთავარია „ჭეშმარიტების ჭვრეტა“ (შეშეილობა) (1,133). თითქოს „ციურთა თვალები“, „ციური ჭვრეტა“ მიმადლებინა განგებას: „...სად სული ზღვებს მიეღვრება, ღმერთებმა მიწაზე სამსხვერპლოს გულიდან აგასხეს ციურთა თვალებად“ (შეხვედრა) (1,56).

მერაბ კოსტავას პოეზიაში ყურადღებას იქცევს „ციური ჭვრეტა“, „გონის თვალის“ ახელა, „უცოდნო“ მხერა, ზეცის მადლი, „მომავლის გეზი“, „დასახნავად უცდომელი გასხედს თვალეში, შენშია უკვე ზეცის მადლი, რაც გადმოსწევდა აწ დასაპყრობად მოკვლიან სხვა მწვერვლები, მომავალს განდობ შესამოსად შეუმოსველთა“ (ბიბლიური რემინისცენები) (1,94).

რწმენისა და ცოდნის შემწეად, „სიბრძნის დედად“ სრულყოფილი თვალის ეგულბოდა: „...სანთლად გუამისა სრულყოფილი მთავალი თვალის, უთვალოდ სმენა სამატეხვინო შიშია მხოლოდ, მხოლოდ მახვილი თვალის გახლავთ დამძღველი შიშის, რამდენად ხედავ, იმდენადვე სწვდები და ბედავ, რადგან თვალთა გამორჩევის და სიბრძნის დედა. ის რწმენას ძლიერს მარაგანდეს ცოდნისას ადგამს“.

მშვენიერების, სიყვარულის წარმოშენი და საგალობელი თვალთა: „...თუკი სამყარო უმთავრესად მხერას უგალობს, სახეობათა და ფორმათა უწყვეტ თარეშში, მშვენიერებაც არ არსებობს მაშინ უთვალოდ, თვით სიყვარული არ არსებობს თვალის გარეშე“ (ბიბლიური რემინისცენები) (1,87-88).

გონების, შემოქმედების დასაყრდენი თვალთა, „აზრების სივლის“ მომწვევი თვალთა: „რომლისა თვალმან მოიკრიბოს აზრების სივლი, ის ეხიაროს ჩემს იდუმალ შემოქმედებას. ფორმების ჭვრეტა, აღმაცემა იმთვინო წრფელი, მის ნათელ მხერას სამუდამოდ დაეხედება“ (1,90).

ბიბლიურ წინასწარმეტყველთა დარად, მერაბ კოსტავას სწამდა, რომ განგების

მიერ „სიბილწესთან შეურვენილი გულ-შეუძრავთა, პირუთენელთა ჭვრეტის უნარი“ მხოლოდ უმწიკლო სულის ადამიანთ მიემადლებოდათ (ბიბლიური რემინისცენები) (1,101).

პოეტი ღვთის ხატად ქმნილ სულს ადაპერობდა დაფარულის მიხედვლისკენ – ღმერთისკენ და ეიმედებოდა, რომ დამსახურებულს მიუხედავად უზენაესი: „სული მარტვილი ადგაპყარ შენდა, ოდითგან ქმნილი შენეულ ხატად, გულის სიღრმეში დაფარულს ხედავ, დაფარულთათვის მომაგებ ცხადად“ (შენ გვეყდრები სულით გლახაკი) (1,26). პოეტის ზეცისკენ მხირალი სულის თვალის სჭვრეტდა უზენაეს მეუფეს: „სული... ადევნებისარ ცაში კომეტებს, ზევსთან შეკრული ზავით, სჭვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს, მნათობთა ბაღეს გაშლილს, განგებას შენთვის დაურახტი ცეცხლის მფრქვეველი რაში“ (სული, დაი-ცა) (1,40).

„ზოღიაქალურ ველებზე“ იყო მისი ასპარეზი.

ხილვა, გულთა სმენა, განსჯა, წვდომა უზეშთაისისგან ხელდასხმულთ მიემადლებათ: „ხილვას დაგანმავს თვალთ მონაგარი და გულთა სმენას წვდომა განსჯისა, ყოველი არსი სად მონა არის უზეშთაისის მფეთქავ მაჯისა“ (სეფიქსი) (1,76-77).

სიბრძნე „ნათლის სვეტის“ სახით ევლინებოდა (ბიბლიური რემინისცენები) (1,101).

ჭვრეტდა „მზიან ღამეს“, „შუაღამის მზეს“ (ღმერთს) (შენ გვეყდრები) (1,25).

ღვთისმეტყველი შეგვახსენებს: „თუ განწმენილი ხარ ვნებათგან, მაშინ შენშია ცა და ამ ცაში ხედავ ანგელოსებს, ...მათთან ერთად, მეუფეს მათსას“.

„თუკი ყოველთვის საღმრთო აზრებით იქნები დაკავებული, მაშინ ჭეშმარიტად იხილავ შენს სულში ქრისტეს ნათელს, დაუღამებელს“ (წმინდა ისააკ ასური) (5,230-240).

პოეტი ხედავდა ცის კაბადონის უხილავ ბზარებს, ცრემლებს: „ცრემლი სდიოდათ კაბადონის უხილავ ბზარებს“ (ღმერთს) (1,104).

გალაკტიონი ურწმუნობაზე დაღუწილი, დანგრეული ზეცის სახით მიგვანიშნებდა, მერაბ კოსტავას ცრემლიანი და გაბზარული ცის კაბადონი ღმერთის უარყოფელ ეპოქაზე მიუთითებს.

„არსთა არსის“, ციურთა დასის ჰარმონია ანათებდა პოეტის სულს: „მშვიდი სამშვიდველი აროდეს ბერდება, ის ამრეკლაგია თვით არსთა არსისა, საოცარ ნათებად იღვს აუღვრდება მასში ჰარმონია ციურთა დასისა“ (ეტიუდი) (1,81).

აქაც ხილვისა და სმენის უნარი შეთანხმებულად ვლინდებოდა.

„ქველის და ავის შეცნობა მხოლოდ უმწიკლოთ დაებედებათ, ხოლო „ბრმად-შობილთათვის ეს სამყარო დარჩება ბნელი, ცნობიერებას მათთვის აზრი არ ემეტება“ (ბიბლიური რემინისცენები) (1,89).

გალაკტიონის გამორჩეულობას, მერაბ კოსტავას აზრით, განაპირობებდა მისი განსაკუთრებული ჭვრეტის ნიჭი: „სხვისთვის უხილავს ჭვრეტად ეთერში, ამოყვას არ დაემონე“ (გალაკტიონი) (1,154).

თითქოს ხორცის დამტკეველი პოეტის სულიც ხედავდა სხვათა, ცოცხალთათვის უხილავს: „რასაც ვერ ჭვრეტდა ცოცხალთა თვალთ, გულთმისანივით ხედავდი მეკადრი“ (1,157).

მერაბ კოსტავას ღირსი პერსონაჟები ერთდროულად მოიხილავენ ცას და მიწას: „ვარსკვლავთა ლაყვარდს ოცნებით ასწვდი და ეამბორე მიწას“ (სული, დაიცა!) (1,40-41).

ქვესკნელ-ზესკნელის საიდუმლოებების მაძიებელი სულია პოეტის იდეალი: „გიჯობს ქვესკნელის ვრცელი ველი მიწაპირო, ხოლო მერმე ყვავილწულების სამსჭვალვით გაეკრა ზეცას“ (რუსთავი) (1,83-84).

ღმერთს სოფლია (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

კვარასხელის ბლოგი



თანამეამულენო!

ამ დღეებში ვაკვირდებოდი რა უდიდესი ქრისტიანული სიწმინდის, ღვთისმშობლის კვართის გარშემო ატეხილ აუიოტაქს – შეგნებულად ვცდილობდი სიმშვიდე შექმნარჩუნებინა და ნებსით თუ უნებლიედ ხელი არ შემეწყო მოვლენათა ესკალაციისათვის... არადა, როგორც ჩანს ვნებები ჯერაც არ ჩაწინარდა და მომდის ხმები, რომ მოსალოდნელია სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვა... რასაკვირველია ასეთ დროს ვერ ვიძინებოდი უფროდან მაყურებელი და მინდა მივმართო ჩემი კუთხის, განსაკუთრებით კი ხობის და ზუგდიდის მოსახლეობას:

ძვირფასებო! მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ვიღაც ცდილობს ჩვენი რელიგიური გრძნობებით მანიპულირებას და მზაკვრულად გვიმზადებს საშინელ ტრაგედიას, ანუ ძმთა შორის დაუნდობელ დაპირისპირებას! მიჭირს, ნამდვილად მიჭირს ამის წარმოდგენა, მაგრამ ვიმეორებ, რომ მართლაც მაქვს გონივრული ეჭვი და ამის საფუძველზე უნდა არსებობს...

ფიქრობ არსებობს იმის უდიდესი ალბათობაც, რომ შესაძლებელია რაღაც ძალებს დაგეგმილი ჰქონდეთ ღვთისმშობლის კვართი საერთოდ მოაშორონ სამეგრელოს! ნუ დაგვაიწყდება ისიც, რომ ამ უდიდესი სიწმინდის კვალი ბოლოსდაბოლოს არათუ ხობში, არამედ უფრო შორს ბიზანტიაში და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ კიდევ უფრო შორს პალესტინაში მიდის! აი, ამაზე ყველას გვმართებს ძალიან კარგად დაფიქრება!...

აქვე, ყოველგვარი მიკიბე-მოკიბვის გარეშე ვაცხადებ:

ღვთისმშობლის კვართის გარშემო განვითარებულ პროცესებში უაღრესად დესტრუქციულ როლს თამაშობს მეუფე გრიგოლი (ბერბეგიანი) და ეს არის ძალიან საგადასაწყისო და დამაფიქრებელი ცეცხლი!

და ბოლოს: საპატრიარქომ უნდა გაანეიტრალოს არსებული დაძაბული და საგანგაშო სიტუაცია... დიახ, ეს მისი, ანუ საპატრიარქოს პირდაპირი მოვალეობაა და რაც უფრო მალე გააკეთებს ამას, მით უკეთესი ჩვენი სამშობლოსათვის!

ნუ განვირისხებთ დედაღვთისას და მის ღვთაებრივ ძეს!

მიმართვა ხობელებს, ზუგდიდელებს და სამეგრელოს მოსახლეობას...

ძვირფასო თანამემამულენო! მოგესხენებათ რომ ჩვენი რეგიონიდან სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზით უამრავი ქრისტიანული სიწმინდე იქნა გატანილი... გატანილია ისტორიული მნიშვნელობის უამრავი ექსპონატი... გატანილია ხელოვნების უამრავი ნიმუში... და ა. შ. და ა. შ... ფიქრობ ჩვენ ყველამ ერთად უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური ძალისხმევა წარმემამულენოს უკან დასაბრუნებლად!

ჩემს მიერ შემოთქმულიდან გამომდინარე, მანამ სანამ წარმემამულენო ტაცებული უკან კანონიერად, სამართლიანად არ დაგვიბრუნდება, მიზანშეწონილად ვთვლი ღვთისმშობლის კვართთან მიმართებაში ხობელებმაც და ზუგდიდელებმაც გამოვაცხადოთ მორატორიუმი!

შეგვეწიოს ღვთისმშობლის კვართის მადლი, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!...

ვლახერნის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, რომელიც ბატანილია სამეგრელოდან და ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში...

ცნობილია, რომ სამეგრელოს მთავრინა ნინომ 1805 წელს სამეგრელოს ხალხის სახელით ღვთისმშობლის ხატი საჩუქრად მიართვა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ იმპერატორმა ხატი ძვირფასი თვლებით შეამკობინა და თავის სარტყელთურთ (ეკვთიმე თაყაიშვილის ცნობით სიწმინდეების პარიზში გახიზვნამდე ხატს სარტყელი უკვე არ ჰქონდა) უკან დაუბრუნა სამეგრელოს ხალხს. უფრო მეტიც, მან ფულიც გამოაგზავნა და ბრძანა აშენებულიყო მისი სახელობის ეკლესია (მშენებლობა დაუწყო 1825 წელს და დაუმთავრებიათ 1830 წელს). იმპერატორის სურვილით ტაძრის გარშემო ასევე უნდა აშენებულიყო ქალაქი გრიგოლიოპოლისი...

საქართველოს ხელოვნების მუზეუმშიც ვლახერნის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი სხვა სიწმინდეებთან და დიდძალ განძებთან ერთად უნდა დაუბრუნდეს სამეგრელოს!...

კოლხ-იბერო!

მიმდინარე წლის 21 ივლისს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დარბაზში ჩატარდა ბატონ გური თოტობაის უდიდესი ძალისხმევით შედგებულ შედეგინი და წიგნად დასტამებული „მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“ პრეზენტაცია, რაც თავისთავად პოზიტიურ მოვლენად მიმაჩნია, მაგრამ ამავე დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ერთ რამეში, რომ კოლხურ-იბერიული ენების დაცვა-განვითარებისათვის აუცილებელია საკითხი სახელმწიფოებრივ დონეზე იქნას აყვანილი და გადაწყვეტილი. აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და სტრუქტურული მექანიზმები. სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა დაიკისროს პასუხისმგებლობა იბერიულს ამ ენებზე. თუ ასე არ მოხდა – უახლოეს ათწლეულებში ეს ენები გაქრება. ამიტომ, მიზანშეწონილად ვთვლი სასწრაფოდ შეიქმნას სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელშიც უნდა შევიდნენ კოლხურ-იბერიული (ქართველურ) ენათა აღიარებული სპეციალისტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ კომისიამ უნდა შეიმუშავოს კომპლექსური დონისიძიებათა პროგრამა, რომლის პრაქტიკული რეალიზებით უზრუნველყოფილი იქნება მეგრულ-ლაზურის, სვანური და საკუთრივ ქართული ენების შენარჩუნება-განვითარება. პირადად მე ფიქრობ, რომ აუცილებელია, დაწყებით კლასებში ისწავლებოდეს ეს ენები. აუცილებელია ასევე, რომ სახელმწიფომ ორგანიზება გაუკეთოს ამ ენებზე რადიო და ტელემაუწყებლობის ფუნქციონირებასაც. აუცილებელია ამ ენებზე ბეჭდვითი გამოცემების სტიმულირებაც. ასევე, აუცილებლად მიმაჩნია პროგრამაში აისახოს

მეგრულ-ლაზური და სვანური ენების ნაწილობრივი და გარკვეული დონით გამოყენება-ფუნქციონირების მიზანშეწონილობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუნდაც იმ რეგიონებში, სადაც ჯერ კიდევ ამ ენებზე საუბრობს ადგილობრივი მოსახლეობა. ერთი სიტყვით, პროგრამაში უნდა ჩაიდოს ყველაფერი ის, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ ენების გადასარჩენად.

აქვე კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზემოთაღნიშნული ენების გადარჩენისათვის შემუშავებული პროგრამის პრაქტიკული განხორციელება.

კოლხ-იბერო! ენა იდენტობის უმთავრესი ნიშანი! ენა აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფუნქცია!

ფუნქციის გარეშე დარჩენილი ენა საბოლოოდ ქრება!

საკუთარი ენის დამკარგავი ხალხიც ასევე ქრება!

ენის სიკვდილი – ხალხის სიკვდილია! არ დაგავიწყდეთ ეს, კოლხ-იბერო!

დიახ, არ დაგავიწყდეთ ეს ჩემო ძვირფასო თანამემამულენო და ხელისუფლება-მთავრობას ინდივიდუალურად იქნება ეს თუ კოლექტიურად – კატეგორიულად მოსთხოვეთ კოლხურ-იბერიულ ენათა გადასარჩენად კომპლექსური პროგრამის შემუშავებული სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნა!...

ფეხბურთის ტიტანი 30 წლისაა...

...წლებია უდიდესი ინტერესით და სიამოვნებით ვადევნებ თვალს ლეო მესის ბურთობას. მასთან მიმართებაში მე ეპითეტები არასდროს დამიშურებია, მაგრამ მართალი ვიფიქროვ, რა გაცვდა უკვე ეს ეპითეტებიც. ძნელია მოძებნო სიტყვა, რომლითაც შეძლება ადექვატურად გამოხატო ამ მობურთალის რეალური სიდიადე, მასშტაბურობა... არ მეგონა, ნამდვილად არ მეგონა, რომ დიეგო არმანდო მარადონას შემდეგ კიდევ თუ ვიხილავდი ვინმეს, რომელიც თითქმის ტოლწლოვანი ვინმეს, როგორც ვიხილავდი ლეო მესის მობურთალის... არ მეგონა, ნამდვილად არ მეგონა თუ კიდევ გამოცემა რომელიმე მობურთალი, მაგრამ ლიონელ ანდრეს მესიმ ეს შესძლო. აქვე, ბარემ ვიტყვი ამასაც, რომ მესიმდე ცოტა ადრე ეს შესძლო რონალდინო გაუსკომაძე, მაგრამ ეს სხვა თემაა...
...არა, შეუძლებელია, ნებისმიერ სფეროში შეუძლებელია, საერთოდ შეუძლებელია ოდენ სიმედიისა და მუხლნაპირული შრომის წყალობით გახდეთ ტიტანი. ასე რომ, ეს შეუძლებელია მსოფლიო ფეხბურთის სამეორშიც. არაა ამისთვის საკმარისი თავდაუზოგავად ვარჯიში. დიახ, ტიტანი რომ გახდეს – უწინარესად მანაც აუცილებელია არამეკვენიური, ზეგარდმო ტალანტით იყო დაჯილდოებული. აი, ლეო მესის ამგვარი ნიჭი სწორედ ღვთისგანაა აქვს მომადლებული და ამიტომაც არის ის ფეხბურთის ტიტანი, ნამდვილი ტიტანი. სპორტის ამ სახეობაში ჩემი აზრით თითხე ჩამოსათვლელი არიან მოთამაშეები, რომლებზე ჩვენ შეგვიძლია ეს ეპითეტი თამამად გამოვიყენოთ. ცხადია მთ შორისაც შეიძლება გარკვეული რანგირება მოვახდინოთ, მაგრამ მესი თავისი ვირტუოზული ტექნიკით, უნივერსალურობით, სათამაშო ინტელექტით, სტაბილურობით და კიდევ უამრავი საფეხბურთო კრიტერიუმით იმ ტიტანებშიც უპირველესთაგანია...

...წლები არ ჩერდებიან და ლეო მესი უკვე 30 წლის გამხდარა... არადა, თითქოს გუშინ იყო, რომ კატალონიური „ბარსელონას“ ძირითად შემადგენლობაში ამავე კლუბის აკადემია „ლამასიას“ აღზრდილი 17 წლის მომდომარე ყმაწვილი გამოჩნდა და ფეხბურთის გურმანებიც უმაღლესი მოგვიხიბლა და დავარწმუნა თავის გენიალურობაში... უკვე წლებია ეს ბიჭი ჩვენ, ფეხბურთის ნამდვილ ქომაგებს

თავისი ბურთობით გვატკობს და თვითონაც ტკება... მე ნამდვილად არა მაქვს განცდა, რომ უმადლეს დონეზე ლეო მინიმუმ 5 წელი კიდევ არ იბურთავებს... მგონია, რომ წლების მატებასთან ერთად მისი უნივერსალურობის ხარისხი და ღირსეული უფრო მოიმატებს. ფიქრობ ასაკში შესული ლეო მესი ჩვენ ძირითადად მაინც გამოამაშებლის ამპლუაში უნდა ვიხილოთ. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში მას უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება და შესაძლებლობა ითამაშოს ისე, როგორც სურს და როგორც ამას კონკრეტული სიტუაცია მოითხოვს...

...ცალკე თემაა მომავალი წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი... ძალიან მინდა, რომ ეს ჩემპიონატი მესის ჩემპიონატი გახდეს... მაგრამ, კარგად მესმის ისიც, რომ შეუძლებელია მან მარტომ შესძლოს მსოფლიო ჩემპიონატის მოგება... თუმცა, ვიმდგინებ რომ, თუ პარტნიორებმა არ დაადასტურეს – ლეო არგენტინის ეროვნულ ნაკრებთან ერთად ბოლოსდაბოლოს მაინც მოიხვეჭს იმ ნანატრ ტროფეის... ისე კი, მე თუ მკითხავს ვინმე – მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის ვერსიების შემთხვევაშიც მის სიდიადეს ბევრი ვერაფერი დააკლდება...

...ფეხბურთის გენიოსი, ფეხბურთის ტიტანი ლიონელ ანდრეს მესი ვერცხლის ქვეყნის ქალაქ როსარიოში 1987 წლის 24 ივნისს დაიბადა და ახლა ის 30 წლისაა... ვულოცავ ჩემს ერთ-ერთ უსაცვარლეს მობურთალს იუბილეს და ვუტყვი:

მადლობა ლეო! გაიხარე ლეო! გაგიმარჯოს ლეო!

ფიქრები ჩვენს სამოქალაქო ინაბთა სამხედრო ტექნიკის შემოსვლის ბაზო...

კოლხებო! იბერებო! არავის არ უნდა გაუჩნდეს იმის ილუზია, რომ აშშ-ს სამხედრო ძალის შიშით რუსეთი აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან წავა... პირიქით, ამ ორი რეგიონის მისთვის უაღრესად დიდი გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გამო ის აქ შეეცდება საკუთარი სამხედრო პოტენციალის კიდევ უფრო გაზრდას... ე. ი. აქედან გამომდინარე, უკეთესი შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ საბოლოოდ დაქვემდებარებულ (დიდია ალბათობა დეზინტეგრაციის პროცესი კიდევ უფრო გაგრძელდეს) სამშობლოს, ან კიდევ უფრო უარესი – ძალიან მოსალოდნელია, რომ კოლხ-იბერთა მიწა-წყალი გახდეს ბირთვული ქობინებით და ტექტონიკური იარაღით აღჭურვილი ზუსტად მზარდი საომარი დაპირისპირების პოლიგონი... ცხადია, ნებისმიერი სადად მოაზროვნე ადამიანი ჩემს ამ რიტორიკაში უყოყმანოდ დამეთანხმება, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ ჩვენს პაწაწინა სამშობლოში და მცირერიცხოვან ერში აშკარად მოგვიმრავლდნენ დეგრადირებული აზროვნების თუ უბრალოდ სულგაყიდული ადამიანები... ფაქტია, რომ ჩვენი თანამემამულეების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე იქცა ე. წ. მეხუთე კოლონად... ჩვენი თანამემამულეების ერთი ნაწილი ნებსით თუ უნებლიედ მანიაკალური ჟინით ყიდის საქართველოს... ორმაგად ამაზრუნია ისიც, რომ ადამიანთა ეს კატეგორია ამას სწადის პატრიოტობაზე, ეროვნულობაზე და სახელმწიფოებრიობაზე აპელირებით!...

ძვირფასებო! აი, ასეთია რეალობა და ამის შემხედვარეს მინდა თუ არ მინდა მინდება მწარე განცდა, რომ ჩვენ უკვე შესაძლოა ჩვენი მრავალბუნებრივი უნივერსალური უკანასკნელ წლებს ვითვლიდეთ... უფალო, გაუნათე გონება კოლხ-იბერს და აჩვენე მას გზა გადარჩენისა...

ქართველი ერის ხსნა მხოლოდ სულიერ ერთიანობაშია

(გაგრძელება მე-5 გვერდიდან)

რომ არა ეს უნიკალური დამწერლობანი და ის ფუძე ენა, რომლის ნანგრევებზე ჩამოყალიბდნენ ე.წ. ქართველური ენები და შემდგომ, რომელთა საფუძველზე შეიქმნა ახალი კლასიკური იბერიული (ქართლურ-მეგრულ-სვანური) ენა – წოდებული ქართულ ენად, იშვებოდნენ რუსთაველი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, კონსტანტინე და სხვა ქართული სიტყვის დიდოსტატები, რომლებმაც ხარობს ერთნაირი სული? რა გვაქვს იმაზე მეტი მონაპოვარი ჩვენ ან სხვა ერებს, ვიდრე სხენებული სიმდიდრეები? თუ არა ლექსდარულ წინაპართა მიერ შექმნილი იგავიუწვეფენელმა მონაპოვარმა – ე.წ. მხედრულმა და ასომთავრულმა დამწერლობებმა და შემდეგ ჩვენთვის ხილული ისტორიის მანძილზე შექმნილი სულის მასაზრდოებელ-დამატკბობელმა შედეგებმა, რამ უნდა შეგვაყვაროს ჩვენი მრავალჭირნახული სამშობლო?

მაგრამ აქვე უნდა ითქვას იმ ობიექტურ მიზეზებზე, რომლებიც დღემდე აღმოუფხვრელია და ხელს უშლის ქართველი ერის სულიერ ერთიანობას.

ყოველ ადამიანს, ერთნაირი ფიზიკური და გონებრივი პოტენციის მქონე ტყუპის ცალკესაც კი, თუ მათ აქვთ ურთიერთობა სხვადასხვა ენოვან ან, თუნდაც, სხვადასხვა დონის საზოგადოებასთან, ენის ლექსიკური მარაგი და მეტყველების უნარი სხვადასხვანაირად განუვითარდებათ და, საბოლოოდ, მათი სამეტყველო ენა, შეუძლებელია, მთლიანად ერთნაირი იყოს. ასეთ შემთხვევაში ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ერთი მოდგმისა და ენის ხალხს, მით უმეტეს, როცა აკრძალული აქვთ მშობლიურ ენაზე საქმის წარმოება და მწერლობა, სხვადასხვა ტომისა და ენის მქონე ხალხებთან ხანგრძლივი ურთიერთობისას, შეუძლებელია, არ ჩამოყალიბდეთ ერთიდაიგივე ენის სხვადასხვა დიალექტები.

არსებობს აზრი, რომ ერთ ენაზე, ყოველ შემთხვევაში, ერთ სალიტერატურო ენაზე მეტყველი, ერთ დროს მიწისქვეშის დამანგრეველი, ერთ დროს გამომავალი და მხედრული მოგვიტყვიან და შემდეგ ხმელთაშუაზღვასა და ეგეოსის ზღვის აუზებში მცხოვრები ლექსდარული იბერიული მოდგმის ხალხი, რიცხოვრებულ ბევრად მეტ ინფორმაციას ხალხთა მოწოდებით, ძირითადად, ისევე კავკასიაში იქნა ლოკალიზებული და ჩაკეტილი; ე.ი. ლექსდარული იბერიული ცნობიერება – პრომეთე (იგი პელაგია იყო – იბერიული მოდგმის) ინფორმაციული ცნობიერებამ კავკასიაში ჩაკეტა, მიაჯაჭვა.

ამის შემდეგაც მათ ახლო ურთიერთობა (ჩვენი აზრით, არა აქვს მნიშვნელობა ეს ურთიერთობა კეთილმზობილური იყო, თუ იმპერიული) ჰქონდათ არაშედეგებთან, ასურელებთან, შემდეგ სპარსელებთან, გრეკებთან, არმენებთან, ლათინებთან და ვინ იცის კიდევ ვისთან, რის შემდეგ, თანდათანობით, კავკასიის სხვადასხვა კუთხეში, ამ ერთი მოდგმის ხალხებში ჩამოყალიბდა იბერიული სალიტერატურო ენი-სვან განსხვავებული დიალექტები – სვანური, ქართლური და ლაზურ-ჭანური (ფვიქრობით, უფრო ადრე ჩამოყალიბდნენ ადიღური და სხვა იბერიული მოდგმის ხალხთა დიალექტები, რომლებიც შემდგომ ენებად იქცნენ). ეს გარდაუვალი ისტორიული პროცესი იყო.

ეთნიკური სახელწოდების „ქართის“ ეტიმოლოგია მეცნიერებისათვის და ქართული სალიტერატურო ენისათვის დღემდე აუხსნელია. მისი წარმოშობა ახსოვს მხოლოდ ე.წ. მეგრულ ენას.

ქართი – ქართი (შეურთიდა, შეურწყა)
 ქართი – ქართუ (შეურთიდა, შეურწყა)
 ე.წ. მეგრული „ქართ“ თანამედროვე სალიტერატურო, იგივე ქართლურ-მეგრულ-სვანურ, ანუ ახალ იბერიულ ენაზე – ქართულ ენაზე ნიშნავს „შეურთიდა, ერთ სხეულად იქცა, შეურწყა“. ამ ჭეშმარიტების

ნიდაცავე წარმოშობილი ეთნიკურ ერთეულს ეწოდა „ქართი“ (შეურთიდა, შეურწყა), რომელიც მიღებულ იქნა სიტყვაში „ქართი“ ბოლოკიდური ნახევარხმოვანი „ო“ ბგერის „ი“ ბგერით განხმობის შემდეგად, ხოლო ახალი ეთნიკური ერთეულის წარმოშობის ადგილს ეწოდა „ქართ“, რომელიც მიღებულ იქნა სიტყვაში „ქართი“ ნახევარხმოვანი „ო“ ბგერის „უ“ ბგერით განხმობის შემდეგად, შემდგომ ამ ტერმინის მკვიდრს ეწოდა „ქართუნი“ [ქართუ (ს) სი(ლი)“-დან], ანუ ქართუში შობილი, – ქართუელი.

აქედან კარგად ჩანს, რომ იბერიულ ხალხთა გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები ნაწილის ინფორმაციული მოდგმის ხალხთან შერწყმით, ენობრივად გაერთიანებული მოხდა ახალი, რამდენადაც განსხვავებული ეთნიკური ერთეულის „ქართების“ ჩამოყალიბება. ასეთივე პროცესი გამოიარა, უფრო ადრე, სვანებად წოდებულმა იბერიელებმა და, ყველაზე გვიან, – ლაზებად წოდებულმა იბერიელებმა. მაგრამ სვანებსა და ე.წ. მეგრელებში, უცხოტომელთა პოლიტიკური ამბიციების გამო, მშობლიური მწერლობის აკრძალვის შემდეგად, განვითარდა შეწყვეტილი იბერიული ენა რამდენადაც დაკონსერვდა, რამაც, ერთი მხრივ, დადებითი როლი ითამაშა ძველიბერიული ენის ლექსიკური ფონდისა და რიგ საიდუმლოებათა შენარჩუნებაში.

განათლებული მეგრელისათვის, სვანისათვის და ქართისათვის მეგრელები, სვანები და ქართველი, ყველა, თანასწორუფლებიანი ქართველებია, მაგრამ ნუ ვმალავთ ჭირს, რომელიც უმძიმეს სენად მოედო ჩვენი ერის ერთიან სხეულს და ნელ-ნელა ხრავს. საუბარია იმაზე, რომ, მიუხედავად იმისა, იბერიული მოდგმის ხალხთა პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ მრავალმა საუკუნემ განვლო, მდამიო მეგრელისათვის „ქართუ“ (ასე ეძახის, სვანთა გარდა, ყველა დანარჩენ ქართველს) სხვა ეროვნების წარმომადგენელია, ასევე ქართლელისათვის და არამარტო მდამიოსათვის არამედ ზოგი „განათლებული“, მეგრული და სვანური ენების არ მცოდნე ქართველისთვისაც მეგრული და სვანი სხვა ეროვნების ხალხია; მათი აზრით, ამიტომ ჰქვია „სამეგრელო“ (მეგრელოთა ქვეყანა) და „სვანეთი“ (სვანთა ქვეყანა). ხშირად გამოვიჩინა კითხვები: თუ ქართველები ხართ, რატომ გქვიათ მეგრული და სვანი.

ამდენად, როგორც ხანგრძლივი დროის ისტორიულმა გამოცდილებამ დაგვანახა, ჭეშმარიტად იბერიული მოდგმის, მაგრამ სხვადასხვა ეთნიკური სახელწოდება მიღებულ ხალხთა სულიერი გაერთიანება, ერთი რომელიმე ეთნიკური ჯგუფის პეგემონობის ქვეშ, არც ისე ადვილი გამოდგება. არ მოგვიტანა სარგებლობა შენიღბულმა პოლიტიკურმა სეპარატმა და ისტორიის გაყალბებამ. არ კმარა, ხელისუფლების სათავეში ქართების მოსვლის შემდეგ, მათი „იბერების“ სახელწოდებით მოხსენიება [ქართლი (იბერია)]. მაშინ, როდესაც არსებობს წყაროები და ცნობილია რა გზით შეიცვალა ქვეყნის სახელწოდება „იბერთა სახელმწიფო“ „ქართველთა სახელმწიფოთი“ (იხ. ჟურნალი „მნათობი“, 1948 წ. წ. 8). არ განიკურნება ჭირი ამ ჭირის გამო მძიმევი მიზეზების დამალვით, ან ამ მიზეზებზე მეტყველი წყაროების კურნალიდან ამოხვევითა და განადგურებით. არავისზე ნაკლები მოაზროვნე არ იყო დიდი ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც ამ საკითხზე წერდა. გავისხენოთ, თუნდაც, დიდი ილიას წუხილიც: „თუ მრავალრიცხოვან ხალხში დავიძახებთ: „ქართველო! შეიძლება, ქართველის შემდეგ, კახელმა მიიღიროს თავისი სქელი კისერი და მოიხედოს, დანარჩენი კი ან მეგრულია, ან სვანი, ან კიდევ გურული, იმერული და ა.შ.“ (პერფრაზი ჩემია, – კ.გ.). ეს იმიტომ, რომ ყველა მათ იციან ქართველი არ არიან, ქართველის უმრავლესობაც დღემდე ნამდვილ ქართველებად მხოლოდ თავიანთ თავს თვლიან.

ცხადია, ქართველი იბერიული ერთიან ბოლოს გამოყოფილი ტომია. ამაზე მეტყველებს თანამედროვე ქართული ენისა და ე.წ. მეგრული ენის სიახლოვე და გრამატიკული კანონები, რომლებს შორის უმნიშვნელო სხვაობა თუ მოიძებნება.

ჩვენი წ. აღ-ის V საუკუნის წინანდელი პერიოდის ეროვნულ და უცხოურ წყაროებში ქართველზე თქმული ერთი სარწმუნო სიტყვა არ ვიცით, ისინი ექვემდებარებოდნენ იბერებს და სამართლიანადაც აღბათ, სულიერი ერთიანობის შესარყევად შეუწყვეს ხელი სპარსელებმა იბერიული მოდგმის ტომებში მათ პეგემონობას. ამიტომ აქვთ ქართველებზე (ქართველებზე) უძველესობის პრეტენზია არმენებს, სპარსელებს, გრეკებს, მით უმეტეს, სემიტებს და სხვა. მაგრამ იბერიელებზე უძველესობის პრეტენზიას ვერცერთი მათგანი ვერ გებედავს.

დღეს, თუ არ დავხუჭავთ თვალებს და არ დავიხშობთ გონებას, მცირედენი განათლების მქონე სვანმა და მეგრულმა კარგად იცის, რომ მათი წინაპარი ქართველი არ არის, მიუხედავად იმისა, ზოგ მეცნიერს სურს ეს ასე იყოს. ყველამ კარგად იცის, რომ არც თანამედროვე მეგრელები და სვანებია ქართველის წინაპარი. ვიცით, რომ ჩვენ ერთი მოდგმის მოძმე ხალხი ვართ და ჩვენი საერთო წინაპარი იბერებია.

გამოჩენილ მეცნიერთა შრომებიდან ცნობილია, რომ ჩრდილო კავკასიელი ხალხები: ადიღელები, ჩერქეზები, ბალყარელები, აბაზინები, ყაბარდოელები, აფსუები, ინგუშები, ჩეჩნები და დაღესტნელები ყველა იბერიული მოდგმის ხალხია. ეს დადასტურებულია ე.წ. ქართველური ენებისა და ზემოთ ჩამოთვლილ ხალხთა ენების ღრმა ანალიზითა და შედარებით. ყველა განათლებული, აღნიშნულ ხალხთა წარმომადგენლები დაგვეთანხმებინან, რომ ისინი იბერიული მოდგმისანი არიან. როცა ვამბობთ, „ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო“-ო, აქ ის ხანა იგულისხმება, როცა ლექსდარული იბერია ცალკეულ ტომებად არ იყო დაყოფილი და მთელი კავკასია და ბევრად მეტი ტერიტორია იბერებს ეჭირათ. ამიტომ, ვფიქრობთ, ჩვენი უნიკალური დამწერლობანი – მხედრული და ასომთავრული, თანამედროვე, ჩრდილო კავკასიელი იბერიული მოდგმის ხალხთა კუთვნილებაცაა.

შეიძლება დიალექტური განსხვავებები იბერიულ ენაში ომის გარეშე, მეზობელ ხალხებთან ინტენსიური კეთილმზობილური ურთიერთობითაც ჩამოყალიბებულიყო, ერთი სალიტერატურო ენის არსებობის პირობებშიც, მაგრამ ამ ერთი მოდგმის ხალხთა ერთიანობის დასარღვევად, საერთო სახელწოდების უარყოფა და ერთ-ერთი მათგანის მიერ ამ ერთიანობიდან სეპარატივული მიზნით გამოყოფის პერიოდული ცდა, შემდეგ კი მისი პეგემონობის ქვეშ დანარჩენების მოსაქცევად ხელშეწყობა, ვერაგი მტრის გენიალურად გათვლილი გეგმა იყო, რომლის შემდეგ თანდათანობით მცირდებოდა აყვავებული კულტურისა და ანგარიშგასაწვევი ძლიერების მქონე იბერთა ტერიტორიული მთლიანობა და ირყეოდა მათი სულიერი ერთიანობა. ამის შემდეგ მოხდა ჩრდილო კავკასიელი იბერიული მოდგმის ხალხთა გაუცხოება, ამის გამო დაკარგეთ რამდენიმე საუკუნის წინ ჩვენი მშობლიური ლაზეთი.

მახსოვს ტელევიზიიდან ერთი გადაცემა: საქართველოდან ტურისტული, თუ ეთნოლოგთა ჯგუფი ეწვია ლაზებს თავიანთ ძირძველ მიწაზე. ინტერვიუერი შეეკითხა ერთ მოხუც ლაზს: იგი თუ არა თქვენ ქართველები რომ ხართ? მან მეგრელი-სათვის სრულიად გასაგებად უპასუხა: „მა ლაზი ვორექ“ (მე ლაზი ვარ). კიდევ შეეკითხა: კი ლაზი ხართ, მაგრამ იცით თუ არა, რომ ერთიანობით ქართველი ხართ? მან მტკიცედ უპასუხა: „ვარ, მა ლაზი ვორექ“ (არა, მე ლაზი ვარ). მორიგ კითხვაზე: მაშ, ვინ არის ქართველი თქვენთვის? მან ღიმილით უპასუხა: „ჯიმაღიფი ვორეთ“ (ძმები ვართ).

ნებისმიერი იბერიული მოდგმის წარ-

მომადგენელი აცხადებს, რომ მათ ქართველებთან ახლო ნათესაობა აკავშირებს, მაგრამ „ქორთუ“-ობას უარყოფს, ხოლო იბერთა შემკვიდრებას არა. პირველი სამწუხაროა, მაგრამ მეორე გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს.

თანამედროვე „ფხზთა“ (აფსუათა) ენაზე „ანცვა“ დმერთს ნიშნავს და ნაწარმოები უნდა იყოს სიტყვიდან „ანცა“. „ან“ (მესთვის წყარო სიცოცხლისა. [მა – მე; ნი – წყარო სიცოცხლისა) სიტყვა ცის, სამყაროს სინონიმია. როგორც ადრეც აღვნიშნავს სამყარო წყაროა სიცოცხლისა; სამყაროს არსებობის აზრი, მხოლოდდამხოლოდ სიცოცხლის და, განსაკუთრებით, მოქმედებით, ქმნა-გარდაქმნის უნარით სამყაროს (დმერთის) ხატის, ანუ მისი მსგავსი არსების – ადამიანის არსებობაა, რომლის გარეშე ვერ იარსებებდა ცნება სამყარო, ცა, დმერთი. არც არავის ეცოდინებოდა მის არსებობაზე აფსუებმა სამყაროს ორივე სინონიმი „ან“-იც და „ცა“ – შემოინახეს. ანცა – ანცვა (სიტყვაში ბგერის ჩართვა და, განსაკუთრებით, „მ“ ბგერისა, იბერიული მოდგმის ქართული-სთვისაც დამახასიათებელი თვისებაა (იხ. ლეო კვაჭავაძე, ქართული ენა, გზა „რუბიკონი“, თბ., 2001, გვ. 67).

აფსუებისთვის იმ ჭეშმარიტების შთაგონება, რომ ყველა, ქართველები და ჩრდილო კავკასიელები, იბერთა შემკვიდრებია, არის ერთადერთი და უმოკლესი გზა საქართველოს ტერიტორიული გამოთიანებისა, უფრო მეტი, მთელ კავკასიელ ხალხთა პოლიტიკური და სულიერი ერთიანობისა. მაგრამ იბერიულ ტომთა დალაშქრით შემოერთების ცდა არის ვერაგი მტრის მიერ ინსპირირებული და დამანგრეველია ქვეყნისა, უფრო მეტი, საერთოდ, მომსპობია იბერთა და მათ შემკვიდრეთა, – ქართველთა ფიზიკური არსებობისა.

ამიტომ, ჩვენი აზრით (აუცილებელი და სასურველია ამ აზრს ქართველი მეცნიერები და პოლიტიკური მოღვაწენი სერიოზულად გაუფიქრდნენ), ქართველი ერის სულიერი გაერთიანებისათვის, და არამარტო ქართველთა, აჯიჯობდა ერისა და ქვეყნისათვის ჩვენი საერთო წინაპართა ეთნიკური სახელწოდება „იბერები“ და „იბერია“ დაგვებრუნებინა.

ეჭვი არა გვაქვს, ქვეყნის მდგომარეობისა და წარსულის რეალურად შეფასების შემდეგ, ქართველებიც შეეღვივან „იბერიის“ სანაცვლოდ შერქმეული „საქართველოს“ სახელით ქვეყნის არსებობას, თუ გვსურს, საერთოდ, არსებობა, ხოლო სხვა ერის წარმომადგენელთა გადასაწყვეტი ჩვენი საქმე ნამდვილად არ არის. ამ აზრს წინ აღუდგება ის, ვინც იბერიული მოდგმის ხალხთა გაერთიანება აფრთხობს.

ქვეყნის სახელწოდების „იბერიის“ შეცვლა „საქართველოთი“ შეცვლიდა იყო, განხორციელებული ჩვენი ძველი და ვერაგი მტრის, სპარსეთის ხელისუფალთა სურვილისამებრ, ერი არ არის ერთი პიროვნება, რომ ვიღაც ახირებული მტრის სურვილის მიხედვით სახელი შეუცვალა. „იბერიის“ „საქართველოთი“ შეცვლის დროიდან ათმა საუკუნემ განვლო, მაგრამ, სრული ჭეშმარიტებაა, ქვეყნის ძირითადი მასა, მისი უდიდესი უმრავლესობა, ფაქტობრივად ამას ვერ შეეგუა; იბერების შემკვიდრებას კი ვერცერთი კუთხის მოძმე ტომი ვერ უარყოფს. ვერც იმას უარყოფს ვერაგინ, რომ ჩვენ გვაქვს კაცობრიობის ისტორიაში პირველქმნილი და ჩვენს დასაბამისდროინდელ წინაპართა ღვთაებრივ სიბრძნეზე მეტყველი უღამაზესი დამწერლობანი – ე.წ. მხედრული და ასომთავრული და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული კლასიკური ენა – ქართულ-მეგრულ-სვანური, ანუ ახალი იბერიული ენა.

კუპური ფიფია, „ფახისის“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი

ბორჯომის ტყე-პარკის ხანძართან დაკავშირებით



უკრაინის დამოუკიდებლობის დღეს მხეხანამ დიდი საჩუქარი მიიღო – ოკეანისბაღადმიან, კერძოდ აშშ-დან, ანტირუსული (მხანახშირი) დატვირთული ბემი. ენერგეტიკული პრობლემის მოგვარების თაობაზე წერდა და ბაკპირდა უკრაინული მილია. არანაკლებ ეიზორია იყო ბალტიისპირა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც ამერიკული დაზარალებული ბაზი ჩაიტანეს, ცხადია ბაცილებით კვირად, ვიდრე რუსული ბაზი.

საქართველოს მსგავსი ენერგეტიკული „საჩუქრები“ არ მიუღია, მაგრამ ერთ რამედ ღირს ამერიკელთა მიერ მეხანძრეთათვის ნაჩუქარი კვიპირება, რამაც ყველა და ყველაფერი გადაფარა. ვინც თვალს ადევნებდა ბორჯომის ტყე-პარკში გაჩენილი ხანძრის მოვლენებს, მისთან ბრძოლას და ა.შ., უდავოდ ყურში მოხვდებოდა იმ მეზობელი თუ კეთილისმსურველი ქვეყნების დახმარების თაობაზე, ვინც ტექნიკით თუ მეხანძრეებით ებრძოდა სტიქიას. ჩამონათვალი აშშ-ით იწყებოდა, რომელიც არ დებულობდა მონაწილეობას ხანძრის საწინააღმდეგო ბრძოლაში, თუმცა მორალურად ჩვენს გვერდით იდგა და მუდამ გვახსენებდა – თუ გავიჭირდებით, უმად მოგვმართეთ და სასწრაფოდ ვაფრენთ ჩვენს მეხანძრეებს გერმანიაში დაბანაკებული ამერიკული სამხედრო ბაზებიდან.

როგორც ჩანს საქართველოს ხელისუფლებას არ მიუშვიათ, თორემ მაშველებს, როგორ დაგვამადლიდნენ? ისე, კაცმა რომ თქვას, რა მიმართვა იყო საჭირო საქართველოში აშშ-ს ელჩის კვლევისთვის, რომელიც საკუთარი თვალთხედვად იმ უსუსურობას, რასაც დღეების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ბორჯომის ტყე-პარკში გაჩენილი ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც იქნა ხანძარი ჩააქრეს საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელარუსის მეხანძრეებმა და სპეტტექნიკამ. გაუჭირდათ, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ხანძართან ბრძოლა უსერიოზულესი საქმეა და სწორედ მას შეუძლია, ვისაც დიდი გამოცდილება, გაწვრთნილი და სათანადოდ კვიპირებული მაშველები ჰყავს.

ამ თვალსაზრისით ყველაზე გამოცდილი მეზობელი რუსეთია – შესაბამისი ავიაციით, კვალიფიცირებული პერსონალით, გამოცდილებით. და რომ ეს ასეა, წლის განმავლობაში არაერთხელ დამტკიცდა, როგორც საკუთარ ქვეყანაში ხანძართან ბრძოლაში, ისე სხვა ქვეყნებში – ლათინური ამერიკიდან დაწყებული,

ვეროპისა და აზიის ქვეყნებით დამთავრებული.

მიწისძვრა, ხანძარი, ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული პრობლემები მუდამ იყო და არის რუსი მაშველების აქტიური მოქმედების არეალი. ეს, ფაქტია და მას ვერსად გავექცევით, ისე, როგორც ამ ქვეყნის მეზობლობას. უნებლიედ იბადება კითხვა – რატომ არ მიმართა დროულად საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს დახმარებისთვის?

ირაკვევია, რომ მიუშვიათ, რამდენად დროულად ვერ გეტყვით, მაგრამ საბოლოო ჯამში დახმარება აღარ დასჭირდათ და თხოვნას, უარი მიაცემულა.

მეზობელმა რუსეთმა კი, რომელსაც თვით ჰქონდა არაერთი პრობლემა ხანძართან დაკავშირებით, უმად გაამზადა თვითმფრინავი გამოსაფრენად, მაგრამ უარი მიიღო. საქართველოს ხელისუფლება დაბეჯითებით ეუბნებოდა საკუთარ მოსახლეობას – რუსეთისთვის არ მიგვიმართავსო, მაგრამ მოკირკიტე მედიამ, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს სახით, საწინააღმდეგო დაადგინა. მიუშვიათ, თან როგორ, მაგრამ მოგვიანებით, ვიღაცის შიშით, ვერ გეტყვით ამერიკელთა თუ ოპოზიციის, ინანა და თხოვნა უკან გამოიწვია.

გაფრენილ სიტყვას ანუ თხოვნას რაღა ეშველებოდა და უმად დაიწყო თავის მტრევა შესაბამისი ვერსიის შესათხველად. ვერსია კი ასეთი იყო – მიემართეთ გაეროს, ხოლო იმან ყველას, ვისაც შეეძლო უმად გააბათილა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ – არ-მოთარი გაერო, პირდაპირ მოგვმართეს და ჩვენც უმად გავამზადეთ თვითმფრინავი გასაფრენად.

უსმენ ამ ისტორიას და გაოცებას, თან აღშოთებას ვერ ფარავ. ასეთთა რიცხვმა ინტერნეტში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ისინი მოითხოვდნენ რუსეთის დაუყოვნებლივ ჩართვას სტიქიასთან ბრძოლაში და მართლმეტყველებდნენ, ვინაიდან რუსული მაშველი თვითმფრინავის ორ-სამჯერ გადაფრენა ხანძრის თავზე და წყლის დასხმა უმად ჩააქრობდა ხანძარს. თვითმფრინავები, რომლებიც რუსეთს ჰყავს ხანძართან საბრძოლველად უნიკალურია, ვინაიდან სხვა ქვეყნების მსგავს საფრენ აპარატებთან შედარებით ყველაზე მეტ წყალს იტევს. გაცილებით მეტს, ვიდრე ბორჯომის ტყე-პარკში გაჩენილ ხანძართან მებრძოლი ყველა ქვეყნის საფრენი აპარატი, ერთად აღებული.

სტიქიასთან ბრძოლა ისეთი რამ არის, მტერ-მოყვრობა რომ არ იცის. ასეთთან ბრძოლაში ყველა მოყვარე ხდება და დასაძრახი არაფერი იქნებოდა, რუსეთს რომ მიეღო მონაწილეობა ხანძართან ბრძოლაში.

არ მიადებინეს, ვინაიდან „მტერი“ და „ოკუპანტი“, რის შესახებაც არაერთხელ ითქვა ბორჯომის ხანძრიდან გამომდინარე თითქმის ყველა სატელევიზიო გადაცემა

ხაზგასმით იხსენებდა, როგორ „გადაწვა“ რუსეთმა ბორჯომის ტყე 2008 წლის ცხინვალის ომის დროს.

სააკაშვილისა და „ნაცების“ მიერ გავრცელებული ვერსია ისეთივე სიცრუეა, როგორც რუსეთის საქართველოზე თავდასხმა. მაგრამ რა გაეწოდა – დღევანდლებსაც ისე, როგორც გუშინდლებს აწობთ ეს ვერსია – და ასეც იქნება, ვიდრე საერთაშორისო მიუკერძოებელი კომისია, რომელსაც აშშ-ი თითქმის ვერ დაუქნევს, ობიექტურად შეისწავლის 2008 წლის მოვლენებს.

არის თუ არა ამის შესაძლებლობა? – სამწუხაროდ არ არის, ვინაიდან ასეთმა უკვე შეისწავლა და დასკვნაც დადო, რომლის „არ სჯერათ“ არც საქართველოს და არც აშშ-ს.

„არ სჯერათ“ – უბრალო ნათქვამია და მეტი არაფერი, თორემ თვითონაც კარგად იცინ, ვინ დაიწყო ომი, ვისი ძაღლისხმვეით მოხდა ყოფილი ავტონომიების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება.

კოლექტიურ დასავლეთს აწობს რუსეთის გაშავება, მისი აგრესორად დახატვა. ეს იდეა ომამდე კარგა ხნით ადრე ღრღინდა მის გულსა და სულს, თან დიდი სურვილი ჰქონდა, რომ სააკაშვილს დაკარგული სამხრეთ ოსეთი დაებრუნებინა, ცხადია არა საქართველოს გამოლიანებისთვის, არამედ თავისთვის ანუ იქ ნატოს სამხედრო-სადაზვერვო ბაზის შექმნისთვის. ასე აცხადებს დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის ყოფილი უფროსი სკარლეტი და ამბებს, რომ ბაზას რუსეთი დაზვერვის არეალში უნდა მოეჭვია.

2008 წლის ომთან დაკავშირებული ამბები ჩვენთვის ერთობ საინტერესოა და ამოუცნობი. ცნობილი მაშინ გახდებოდა, როდესაც დაკარგავს აქტუალობას – 50-100 წლის შემდეგ, თუკი იარსებებს მსოფლიო. მანამდე კი იქნება ვარაუდები, ფაქტებიც, რომლებსაც ოფიციალურად არ მი-აქცევს ყურადღებას, იქნება რუსეთის ლანდლა-გინება და ა.შ. არ არის გამორიცხული, რომ ბორჯომის ტყე-პარკის ხანძარს, ხანძრის ხელოვნური გაჩენის ელფერიც დაერთოს. დასტურად ამისა ხანძრის ადგილას „ნანახი“ ნავთიანი ბოთლი და კასრია. გამოძიებაც დაადგენს, რომ ხანძარი ვიღაცის შეცდინებით გაჩნდა და ეს, ისე იქნება ნათქვამი, რომ იმ ვიღაცაში რუსეთის იგულისხმებენ.

რუსეთი ხომ ის ქვეყანაა, რომელსაც ყველაფერი შეიძლება აკილო, მათ შორის დაუჯერებელიც, ალოგიურიც. იტყვიან – რუსეთმა გაანინა ხანძარი და მერე იმართლოს თავი რუსეთმა. მაგრამ ეს სამომავლოდ. რა გვაქვს დღეს?

გადამწვარ-გადაბუგული 100 ჰექტარზე მეტი უნიკალური ტყე, რომლის გადარჩენა უდავოდ შეუძლებელია, რომ რუსული დახმარება მიეღო საქართველოს ხელისუფლებას. მან კი – არ მიიღო, თითქოს ხანძარი მის საკუთარ სახლში იყო გაჩენილი და არა ქვეყანაში.

როდესაც ანალოგიურ ბუნებრივ მოვლენასთან გვაქვს საქმე, პოლიტიკა განზე უნდა გადაიდოს და ხანძრის ჩამქრობის წარმომავლობაზე არ უნდა იფიქრო. მთავარი ტყის გადარჩენა, თანაც დროული უნდა ყოფილიყო და არა ვიღაც-ვიღაცების, თუნდაც საგარეოდ ამერიკელების ჭკუის დარიგებისთვის ყურის დაგდება.

ბორჯომის ტყე-პარკი ეროვნული საგანძურია და არა ამ ხელისუფლების ან ნებისმიერის საკუთარი ბაღა-ბაღი. ის ამ ხელისუფალთა ბებიებსა და ბაბუებს არ დაუტოვებიათ ბედოვალათი შეიღ-იშვილებსთვის, რომლებსაც, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, თავი შეგაკეციან რუსთა ბორჯომში გამოიჩენის-გან.

დღეს, ხელისუფლებას, განსაკუთრებით პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილს აქვებენ – კარგად გაართვა თავი ბორჯომის სტიქიასო. არადა, მისთვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ყოველგვარი შიშის გარეშე მოეწვია რუსეთი, რაც უდავოდ გადაარჩენდა უდიდესი ტერიტორიის დაწვას. არაუშავს, აღვადგენთ – ამბობს ხელისუფლება. და დარწმუნებულია, რომ ამ

საქმეს ვერ გააკეთებს, ვინაიდან აღდგენას 20 წელზე მეტი დასჭირდება, ამდენს კი ის ვერ შემორჩება ქვეყნის სათავეში.

საქართველოს ხელისუფლებამ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით თქვა უარი რუსეთის დახმარებაზე – ქვეყნის საზიანოდ; უკრაინის ხელისუფლებამ, რუსეთის და დონბასის საწინააღმდეგოდ, საკუთარი ქვეყნის და ხალხის საზიანოდ ანტრაციტი აშშ-ში შეიძინა, გაცილებით მეტ ფასად, ვიდრე ამას გააკეთებდა რუსეთში ანდა საკუთარსავე ქვეყანაში – დონბასში; ბალტიისპირა ქვეყნებმა ორჯერ მეტ ფასად (რუსულ გაზთან შედარებით) მიიღო დაჭირებული გაზი აშშ-სგან. ანალოგიურად მოიქცა პოლონეთიც, რუსეთის დაუძინებელი მტერი და ხედმეტ ფასებში ამჯობინა რუსულ გაზს, ამერიკული. რაც შეეხება უკრაინას, მან უარი თქვა რუსულ გაზზე, მაგრამ სინამდვილეში რუსულ გაზს სლოვაკეთისგან ყიდულობს, ოღონდ გაზრდილ ფასებში.

სხვა სისულელეებს აღარ ჩამოვთვლი, ვინაიდან შორდება ადამიანურ სიბრძნევას და უშეცრობაში გადადის, უფრო სწორად ბოროტებაში საკუთარი ხალხის მიმართ.

დაიხსენოთ ქვეყნების ლიდერები, აშშ-ს და მისი ევროპელი მოკავშირეების მიერ ანტირუსული ვირუსით დაავადებული, თავიანთ ბრიყვულ გადაწყვეტილებას თავს ასევევენ საკუთარსავე ხალხსა, ვინაიდან „გაზპრომის“ გაზთან შედარებით 2-ჯერ ძვირი ამერიკული გაზის ან ქვანახშირის საფასური ხალხმა უნდა დაფაროს – საკუთარი ჯიბიდან და არა ხელისუფლებამ, ისე, როგორც გავერანებულ ბორჯომის ტყე-პარკს ქართველებმა უნდა ვუცქიროთ მრავალი წლის განმავლობაში.

ჩამოთვლილი ქვეყნების ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რუსეთს მიაციეროს ზიანი, თუნდაც საკუთარი ხალხის საზიანოდ. ასეთ პოლიტიკოსებს პოლიტიკასთან არ უნდა ჰქონდეთ შეხება. ასეთები არ უნდა პოულობდნენ დასაყრდენს დასავლეთში, მეტადრე აშშ-ი, ვინაიდან ასეთთაგან მუდმივი ხიფათი გარანტირებულია, თუმცა ეს იმ შემთხვევაში, აშშ-ი რომ ნორმალური პოლიტიკოსთა საბრძანებელი ყოფილიყო, მაგრამ ამას ხომ ადგილი არ აქვს? რასაც ადგილი აქვს – წაქეზებაა, მეტადრე იმ ქვეყნების, რომლებიც რუსეთს ესაზღვრებიან, ვითომდა რუსული აგრესიის შესაჩერებლად. სინამდვილეში – აშშ-ს ჰეგემონიზმის განსამტკიცებლად, რუსეთის დასაჩინაპრებლად, დასაშლელად, აშშ-ს მონად გადასაქცევად.

ამერიკელთა მიზანი – „ნათელი მომავალი“, რისთვისაც ბინძური გზაც მისაღებია, წინააღმდეგ შემთხვევაში კორუმპირებული პოროშენკოს გაპრეზიდენტება მიუღებელი იქნებოდა; არანაკლებ კორუმპირებული და ტაკიმასხარა სააკაშვილის აღვირახსნილი პრეზიდენტობის ატანა შეუძლებელი იქნებოდა. აშშ-ი ისეთი ქვეყანა ყოფილიყო, ჩვენ რომ გვეგონა, სააკაშვილს არათუ პრეზიდენტად, არამედ ხალხის გამგებად არ დანიშნავდა. 2008 წლის სამხედრო ავანტიურისთვის ჰააგის სასამართლოს გადასცემდა; უკრაინაში ფაშიზმს არ აღორძინებდა და ძირშივე ჩაკლავდა ნებისმიერ სვასტიკურ გამოუღინებას; რუსეთთან ჰიდოილსა და კონკურენციას დაშვებული სამართლიანი წესებით წარმართავდა და არა დაუშვებელი, რომელიც პირველ სუპერსახელმწიფოს არ ეკადრება.

მაგრამ ეს დიდი, პირველი და სუპერი ობიექტური პოლიტიკური თამაშით კი არ გამხდარა მოწინავე, არამედ თვალთმაქცობით, ტყუილით, სხვა ქვეყნების დაშინებით, შანტაჟით. ის ამ თვისებებს არასდროს გადაეჩვენებდა. მან არ იცის მოკავშირე, მან მხოლოდ ის იცის, რა შეიძლება გამოიღწეს მოკავშირისგან. ასეთთან ურთიერთობას დისტანციანზე ყოფნა სჯობს. მაგრამ, იცის ეს ამერიკის თვალში შემცვიცინე ხელისუფლებებმა, მათ შორის ჩვენმაც?

ახალი მუზეუმი მუზეუმის უკველას მხარეში



ფიქრი წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან ზუგდიდში ხშირად ჩამოდიოდნენ ექსპურსანტ-დამთავლებლები, არამარტო რაიონის სოფლებიდან და რესპუბლიკის კუთხებიდან, არამედ საქართველოს მოსაზღვრე და სხვა, უცხოეთის ქვეყნებიდანაც, ზუგდიდის განთქმული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ძვირფასი ექსპონატების, მათ შორის მსოფლიოში უიშვიათესი სიძველეების სახილველად. დამთავლებლებს ბუნებრივად იზიდავდა აგრეთვე მუზეუმისთვის დამოძღვრული სამეგრელოს ყოფილი სამთავროს მმართველ დადიანთა საუცხოო სასახლეების ახლოს, ვრცელ ტერიტორიაზე გადაშლილი, ძვირფასი, ეგზოტიკური ხეებისა და მცენარეებისაგან საამოდ მოშრილი ბოტანიკური ბაღი. შუა ნაწილში ხელფენური ტბით, რომელიც სახელოვანი უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის ღირსეულ მეუღლის, სამთავროს დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძის ინიციატივით, პარიზიდან მოწვეულ მებაღე-დეკორატორებს ევროპულ ყიდაზე გაუშენებიათ.

უფრო გვიან, სოციალიზმის ეპოქის ორმოცდაათიან წლებში, ზემოთ ხსენებული ტბის ზედაპირზე გადმოა და გარეული იხები ცურვით დასრიალებდნენ თვალგანახარად; ამასთან, გარშემო მყოფთ, დიდებსა თუ მოზარდებს, პატარებს ტბაზე ნაგებობა გასეირნება და ღამაზ ნაპირებთან შესასვენებლად ჩამოჯდომაც შეეძლოთ თავდავიწყებით. ყოველივე ამის თვითმხილველი, ცოცხალი მოწონი და აღწერილი გართობა-დასვენების მონაწილეები ჩვენთან ერთად სხვა ხშირი თანაქალაქელები არიან. ეს უღამაზესი გრილსურნელოვანი წალკოტი ყოველ მზახველზე ღია ცისქვეშა ნაირფერადი მუზეუმის შთაბეჭდილებას ახდენდა.

ასეთსავე განცდას აღუძრავდა ზუგდიდში ჩამოსულ ან ნამყოფ სტუმრებს, დამთავლებლებს, ტურისტ-მოგზაურებს ქალაქის მთელი ამწვანებული შუაგული საუკეთესო ხეებით, თავიდან ბოლომდე შუაში არხით გამდინარე ნაკადულით, რომელიც გაშენებულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, 10 წლის მანძილზე ზუგდიდის მხარის უფროსად მყოფი ქართველი მწვერლისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავის პირად დაინტერესებითა და ძალისხმევით, ბრინჯაოთი ჩამოსხმული მისი მონუმენტი დიდი ხანია აღმართულია ხეივნის დასაწყისში, დიდი წინაპრის სახელის უკვდავსაყოფად. ზემოთ ჩამოთვლილ ღირსშესანიშნაობათა გამო ზაფხულობით თუ შემოდგომაზე ჩვენს ქალაქში მრავალრიცხოვან ექსპურსანტთა ჯგუფების ყოველ გამოჩენას, სახეიმო, ხალისიანი ელფერი დაპყრავდა. ადენად, არც ისაა საფუძველს მოკლებული, ოდითგან ცნობილი მსოფლიო ცივილიზაციის გამავრცელებელ კერაზე, ძველამოსილი და უმდიდრესი კოლხეთის მადლიან მიწა-წყალზე წარმოქმნილი ისტორიული ქალაქი ზუგდიდი ქალაქ-მუზეუმად ეხსენებინათ. ეს ახალგაზრდობაში არაერთხელ მსმენია. მაშინდელი სკოლების მოსწავლეები ორ-

განიზებულად დაჰყავდათ მუზეუმში კლასების ხელმძღვანელებს მხარის ისტორიის უკეთ შესასწავლად, ცოდნის შესაძენად და გასაღრმავებლად. ასეთი სისტემატური საზოგადოებრივი, მასიური კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობათა შეუნელებელი პროცესი აღმავლობით გრძელდებოდა, სანამ 1980-1990-იანი წლების საქართველოში ტრაგიკული, დამანგრეველი მოვლენების შედეგად ცხოვრების ძლიერი მაჯისცემა, შესაბამისად, სამუზეუმო საქმიანობა, დამთავლებლებთან სასიცოცხლო, საქმიანი კონტაქტები საგრძნობლად შენელებოდა, თითქმის ნულამდე დავიდოდა... მაგრამ მუზეუმის ერთგულ მესვეურთა და მეცნიერთა თანამშრომელთა მამულიშვილური მინდობებით, ქალაქის ინტელიგენციის აქტივისტთა მხარდაჭერით ამ მხრივ ცხოვრების რიტმი გამოცოცხლდა, ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა: შადრევნით და გაზონებით დამშვენდა სამუზეუმო კომპლექსის წინა ერთსახოვანი ფართო მოედანი. აქვე დაიდგა მსოფლიო საჭადრაკო სამყაროში ცნობილი პირველი ქართველი მოჭადრაკის, დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ვაჟიშვილის, ანდრია დადიანის ძეგლი, სავარძელში მჯდომარე მოაზროვნის სახით. მისივე ქანდაკება აღიმართა ახლომდებარე საჭადრაკო სკოლასთან, რომელსაც სახელად „ნონა“ ჰქვია. დაწვეულია და მიმდინარეობს დადიანისეული ერთ-ერთი კორპუსის – „ნიკოს სასახლის“ რეკონსტრუქცია და კაპიტალური შეკეთება, მისი ხურთმოძღვრული გარეთა ხედების თავდაპირველი სახით აღდგენა-შეკლამაზე.

ამჯერად სხვა, ბევრი ზუგდიდელისთვისაც დღემდე უცნობ, მეტად საყურადღებო სიახლეს შეეხები, რამაც ამ წერილის დაწერა შთაბაძონა და გადამაწყვეტინა. შესავალი თუ გამიგრძელდა, ესეც თვით ამ სიახლის, მორიგი სათქმელის საზოგადოებრივი მნიშვნელობის მკვეთრად გამოჩენის შინაგანი სურვილითაა ნაკარნახევი, როგორც ქვესათურში აღნიშნულ „ფიქრში“ ნაგულისხმევი. 2015 წელს ზუგდიდში საფუძველი ჩაეყარა პირველ (საქართველოში მესამე) სპორტის მუზეუმს. მისი ინიციატორი, დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ჩვენი სასახლო თანაქალაქელი როლანდ მაქაცარია – სპორტის ოსტატი, საქართველოს სუბიქსის ჩემპიონი ფეხბურთში, ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მესამე ვადით, საქართველოს ყოფილი ეროვნული გვარდიის სპეცდანიშნულების სპორტბატალიონ „ლაზის“ მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას რწმუნებული.

როგორც პარტიკემულმა როლანდმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ამ საშვილიშვილო მიზნის მისაღწევად ადრევე, თხუთმეტი წლის განმავლობაში აგროვებდა სამუზეუმო, საექსპონატო მასალებს ყოველგვარი ფინანსური დახმარების გარეშე. მუზეუმში დღეისათვის 1355-ზე მეტი ექსპონატია. გულშემატკივრებთან ერთად მოუთმენლად ელიან სასიქაღლო თანაქალაქელებს, ქალთა შორის ჭადრაკში ხუთჯობის მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის, ასევე სახელგანთქმულ თანაქალაქელთა, მსოფლიოსა და ევროპის ოლიმპიური ჩემპიონებისა და გინესის რეკორდისმქონების: ჯემალ ცერცვაძის (ხელბურთს), ოთარ გაბელას და სხვა გამორჩენილ ზუგდიდელთა ცხოვრებისა და სპორტული მოღვაწეობის ამსახველ თვალსაჩინოებებს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალშექმნილი სპორტის მუზეუმს ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი ოთახი აქვს დათმობილი ქალაქის ცენტრში მდებარე ყოფილი სას-

ტუმროს, სხადასხვა დაწესებულებებით გადატვირთულ, ხმაურიან მესამე სართულზე, რომელიც მუზეუმისთვის სრულიად შეუფერებელია, დამთავლებლებს ბელისთვის მხელად მისასვლელი.

როლანდ მაქაცარია არასახარბიელო სამუშაო პირობების მიუხედავად, დილიდანვე თავს დასტრიალებს, თვალისნივით უფრო ხილდება უკლებელი, უნაკლოდ მოგროვილ საერთო ეროვნულ საგანძურს, კვლავზე და მაგიდაზე ფაქიზად შეწყობილ, სპორტული წარსულისა და თანამედროვეობის ნაირფერად ამსახველ ფოტოსურათებსა და ჯილდოებს.

ამასწინათ, ვიდრე მასთან საუბარს დაიწყებდი, საწერ მაგიდაზე საგანგებოდ ჩამოკლებულ შთაბეჭდილებათა წიგნს დაგაკვირდი, რომელსაც წინა დღეებში ჩემი მოსაზრებაც მივაბატე. ჩანაწერთა საერთო დელაზური თავისთავად მკაფიოდ მეტყველებს უახლესი მუზეუმის მხარდ პოპულარობასა და პერსპექტივობაზე. მათ შორის არის ისეთებიც, რომელთა ავტორებიც მუზეუმის დასაფუძნებლად უნაგაროდ გაწვეულ უდიდეს ამბავს, როლანდ მაქაცარიას გამიღვრელ დამსახურებად უთვლიან. დიახ, ეს ჭეშმარიტად ასე გახლავთ. პირადად გულწრფელად ვეთანხმები, მისი მამულიშვილური ნაღვაწამოქმედარი, ნამდიდრად გამირობის ტოლფასია. მაშინაც, როცა მის ბიოგრაფიულ ჩამონათვალს ვკითხულობდი, გამახსენდა, რომ ბერძნული სიტყვა მუზეუმი ქართულად „მუზეის ტაძარი“... მუხა კი, ბერძნულსავე მითოლოგიაში ერთ-ერთი ცხრა ქალღმერთთაგანია, რომლებიც ითვლებოდნენ ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველებად. პოეტების შთავისებების წყაროდ. იგივე სიტყვა შემთხვევით, პარიზიდან არ ჩამირთავს წერილის სათაურშივე. ნათქვამიდან გამომდინარე, მუზეოლოგია სამუზეუმო მოძღვრება, მუზეუმების მოწყობის საქმეა, რაც სისხლხორცეულად შეუთვისებია საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის აქტიურ მონაწილეს, დღევანდელ საქართველოს წლის ჭარბმეცურვანს, რაც აქ „მუზეუმის ტაძარშიც“ მთელი სიცხადით ვლინდება.

ეროვნული სულისკვეთების უკმარისობა ახლა ჩვენს ქვეყანაში აშკარად იგრძობა და ადვილად შეიძინევა. იმედო მინც არ ჩამქრავდა, პირიქით, ძალუმაღ დვივის კაშკაშა მუგუზალივით... „ქიდვეც დაიზრდებიან ალგუთს ლეკვები მგლისან“... ამის საწინდარია ზუგდიდის სპორტის მუზეუმში ჯეროვნად, ფართოდ გასაჯაროებული ზუგდიდის მოზარდებისა და ახალგაზრდების მნიშვნელოვანი სპორტული მიღწევები, როგორც მუზეუმის სულისსამდგამელმა და შეუქმარმა ხელმძღვანელმა სიამაყით დაგვისახელა, ესენი არიან: თხუთმეტი წლის ლექსო ხაიაი – ევროპის ჩემპიონი მოზარდთა შორის; ახალგაზრდებიდან – მკლავი დიდი ნიკო ბაჯალაძე – ევრაზიული თამაშების, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ორივე მკლავით ტიდილო; ძალიანი გიორგი ჩხვიძე – მსოფლიო ჩემპიონი; სამბისტები – ირაკლი გოგია და ბესო ბერულავა – მსოფლიოს და ევროპის ორჯობის ჩემპიონები; დავით ქირია – სპორტის სახეობაში „ბრძოლა წესების გარეშე“; კარატისტები საბა მანია – ზუგდიდის ახალგაზრდული ნაკრების წევრი; ორტიდელი დავით ნაროშვილი – მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი; მოჭადრაკე მადონა ბოკუჩავა – მრავალი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზუგდიდელი ნუგზარ ბეჭავაძის თერთმეტიშვილიანი ბუნდური ოჯახი, რომელსაც შეიძლება სამართლიანად შეერქვას დიდი სპორტული ოჯახი, ან მოჭადრაკეთა კერა, რადგანაც თერთმეტიდან ოთხნი რეგიონის,

ხოლო სამნი საქართველოს ჩემპიონები არიან ჭადრაკში. ამ წინადადების უბის წინააღმდეგ ჩაწერისას მხერა უკვე „გამეჭვ“ მოპირდაპირე კედელზე გამოფენილი პატარა ზუგდიდელი მოჭადრაკეებისა და მეტნაკლებად მათი თანატოლი ტიტულოვანი სპორტსმენების ფოტოსურათთა შორის მაგიდაზე ჩამოღებულ ანდრია დადიანის ბიუსტისკენ. იმ წუთას ნონა გაფრინდაშვილის სახეც დამიდა თვალწინ და ყველა ქართულ ოჯახს გულით ვუსურვე ბეჭავაძეებით სახელოვანი გამრავლება, ჩვენი ქვეყნის ყოველი მოზარდი და ახალგაზრდა სპორტსმენისთვის ვინაგრე დადიანივით და გაფრინდაშვილივით მსოფლიო სახელის მოხვეჭა სამშობლოს საკეთილდღეოდ და საღივდელად.

ახალშექმნილი მუზეუმის თავკაცის თაოსნობით ბევრი კარგი მასობრივი სპორტული ღონისძიება ხორციელდება. 14 ივლისს ქალაქ ზუგდიდისა და რაიონის მასშტაბით გაიმართა ვლადკერობის (ყოველწლიური რელიგიური დღესასწაული) აღსანიშნავი შეჯიბრებები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებით, დასახურდნენ ხატებით და სხვა საეკლესიო აქსესუარებით.

ახლო მომავალში, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა კურთხევით დაიწყება და პერიოდულად ჩატარდება მისი უწმინდესობისა და უდიდესი ფილსოფის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ასპარეზობანი ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიაში შემაველ მრევლთა მონაწილეობით.

სპორტის მუზეუმისთვის საღივდელი უმთავრესი პრობლემაა, საკუთარი ჭერის, დამოუკიდებელი ფართისა თუ ცალკე შენობის არქონა, როგორცაც ის უღაოდ იმსახურებს, რამდენადც მუზეუმის მთელი მრავალმხრივი, რთული საქმიანობის ძირითადი დანიშნულებაა, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა, სრულყოფილ, ინტელექტუალურ მოქალაქეებად ჩამოყალიბება.

როდესაც ამ მუზეუმში, გამარჯვებული ახალგაზრდა სპორტსმენების, ჩემპიონის მოზარდების, ტაბუკებისა და გოგონების გაცისკროვნებულ, კეთილად მოლოძირ სახეებს ვხედავთ, გჯერა, რომ მისი ძირითადი დანიშნულება, უზენაესი მისია აღსრულებული იქნება და ისინი მომავალ სპორტულ ბრძოლებში მოპოვებულ „ნაღავლს“ კიდევ უფრო გაამრავლებენ.

წერილის დასასრულს, როგორც ავტორი, სპორტის გულშემატკივარი და ძირძველი ზუგდიდელი, მოქალაქეობრივ მოვალეობად ვთვლი, მივმართო ამგვარ ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს მთელ შემადგენლობას: დროულად უნდა შესრულდეს ის დაპირება, რაც ადრევე აღუთქვით ზუგდიდში პირველი სპორტის მუზეუმის დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს, პარტიკემულ როლანდ მაქაცარიას, რომ მუზეუმს გადაეცემა ქალაქის ცენტრში მდებარე ყოფილი პარტრიაკომის (ამჟამინდელი ცენტრალური ბიბლიოთეკის) შენობის პირველ სართულზე რამდენიმე ოთახი. ეს ადგილი მუზეუმისთვის, ადგილმდებარეობით და სხვა ფაქტორებითაც, ბევრად უკეთესი, უფრო მიზანშეწონილი იქნება, ვიდრე ამჟამინდელი, არსებული. ამ გადაწყვეტილებას ქალაქის საზოგადოებრივ მოწონებით, კმაყოფილებით შეხვდება. მჯერა, თქვენი პირობა, სურვილები ახლო მომავლისთვის საქმედ იქცევა.

ანზორ ბარამიძე, დედაწმომოსილი ჟურნალისტი, სპორტის გულშემატკივარი, ჟურნალისტთა კავშირის წევრი 1967 წლიდან

ტყვიის გაღვანებული ოღონოა, უეჭვად, აღილოზრივ საქონლის სორსსა და სურსათშია



ინტერნეტსაიტი Momxmaarebeli.ge – სურსათის ტყვიის შემცველობაზე შემოწმების შედეგებს აქვეყნებს.

“ვინაიდან სურსათის ეროვნულმა სააგენტომ (სსს) საკმარისად არ გააერთიანა სუნელებისა და სხვა პროდუქტების ტყვიის შემ-

ცველობაზე შემოწმების დეტალური შედეგები, ეს მონაცემები გამოვიტხოვეთ სსს-იდან და ვაქვეყნებთ. იხილეთ სსს-ის მიერ 2015-2017 წლებში ტყვიის შემცველობაზე შემოწმებული იმ დასახელების სუნელების სია, რომლებიც ნიუ-იორკის ჯანმრთელობის დეპარტამენტის გაფრთხილებაში იყო შეტანილი.” – წერს Momxmarebeli.ge.

მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2017 წელს ტყვიით დაბინძურებული ოთხივე ნიმუში ზუგდიდშია აღმოჩენილი და იდენტიფიცირებულია, რომ ერთ-ერთი პროდუქტი იმპორტირებულია.

“სავარაუდოდ, 2017 წელს საზოგადოების მხრიდან საკითხისადმი

გამოხატული დიდი ინტერესის შედეგია, რომ სუნელების გაცელებით მეტი ნიმუში შემოწმდა, ვიდრე წინა წლებში, მიუხედავად იმისა, რომ სსს-მა ნიუ-იორკის ჯანმრთელობის დეპარტამენტის გაფრთხილება ქართულ სუნელებში ტყვიის გადაჭარბებული ოდენობის შემცველობის შესახებ 2015 წელს მიიღო.

გარდა ამისა, ვაქვეყნებთ იმ პროდუქტების სიას, რომლებშიც 2012-2017 წლებში სსს-მა ტყვიის გადამატებული ოდენობა აღმოაჩინა.” – აღნიშნავს Momxmarebeli.ge როგორც Momxmarebeli.ge წერს, ტყვიის გადამატებული ოდენობა, უმეტესად, ადგილობრივი საქონლის ხორცში და ადგილო-

ბრივი წარმოშობის სხვა სურსათშია (მათ შორის, სახმელ წყალში) აღმოჩენილი. Momxmarebeli.ge ინფორმაციით, ეს, სავარაუდოდ, გარემოს ტყვიით დაბინძურების შედეგია.

“სიაში მითითებულია, რომ შემთხვევების უმეტესობასთან დაკავშირებით შეტყობინება გაიგზავნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში და სამინისტროდან მიღებული პასუხის მიხედვით, სამინისტრო შესაბამის მუნიციპალიტეტებში ნიადაგისა და ზედაპირული წყლის კვლევას ახორციელებს. თუმცა, დაბინძურების მიზეზების შესახებ არაფერია აღნიშნული.

აუცილებელია, რომ დაბინძურების ყველა შემთხვევის მიზეზები იქნას გამოკვლეული და შესაბამისი ზომები იქნას მიღებული მანერნივითების ზემოქმედებისაგან მოსახლეობის დასაცავად.

ჩვენ მივმართეთ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ფინანსთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური ეროვნულ სააგენტოს, ტყვიით დაბინძურების ყველა შემთხვევის მიზეზების კვლევის შედეგების მისაღებად და ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციას მომავალშიც გამოვაქვეყნებთ.” – განმარტავს Momxmarebeli.ge.

ქურნალისტი, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის ანტიკორუპციული რეფორმები დაიწყო და უკრაინაში მუშაობდა — ლევან გუდაძე მოქალაქეობის დაბრუნებას ითხოვს



ქურნალისტი ლევან გუდაძე 2009 წელს საქართველოდან წავიდა, რადგან სააკაშვილის ხელისუფლებამ მას მოქალაქეობა ჩამოართვა — რა გახდა დაპირისპირების მიზეზი, თუმცა ლევან გუდაძე „მარშალბრეს“ ლეტალურად შშმება:

— საქართველოში არ ვიმყოფები 2009 წლიდან. დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ვმუშაობდი საინფორმაციო სააგენტოებში. ასევე, ვხელმძღვანელობდი საინფორმაციო სააგენტოებს GMS და ITN Exclusive, რომლებიც სხვადასხვა დროს მე თავად დავაფუძნე. ერთი შეგარდნად მართველობის პერიოდში, მეორე კი 2008 წელს. მოკლე დროით ვქვედრი გახეთქი „7 დღე“, „ახალი თაობა“.

— მაინც, რით მიიქციეთ სააკაშვილის ყურადღება და რა გახდა მიზეზი მოქალაქეობის ჩამოშორების?

— კონფლიქტი 2008 წელს დაიწყო, როცა ჩემს მიერვე დაფუძნებულ საინფორმაციო სააგენტო ITN Exclusive-ს ვხელმძღვანელობდი. გახლდით მთავარი რედაქტორი და ძირითადად მე განვსაზღვრავდი სარედაქციო პოლიტიკას, უფრო სწორედ, სრულ თავისუფლებას ვაძლევდი ქურნალისტებს ემუშავათ იმ თემებზე, რასაც საზოგადოებისთვის აქტიურად ჩათვლიდნენ. ასე გაგრძელდა აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების დროსაც, ანუ ჩვენი რედაქცია არ დაუმორჩილა სააკაშვილის რეჟიმის ცრუ პროპაგანდას და ავრცელებდა იმ ინფორმაციას, რაც რეალურად ასახავდა კონფლიქტის ზონაში თუ მთლიანად ქვეყანაში არსებულ ვითარებას. ეს არ მოეწონა ხელისუფლებას და კონფლიქტიც აქედან დაიწყო.

— რა იგულისხმება კონფლიქტი? — რედაქციის საიტზე ვ.წ. DoS შეტევებით დაწვებული (პერიოდულად საათების

მანძილზე ვერ ვახერხებდით საიტის რეაგირებას) და პირადად ჩემდამი შეჭრებით დამთავრებული არაფერი დაგვაკლეს. საჯაროდაც დაგვიდანაშაულეს ანტისახელმწიფოებრივ აქტიურობაში, არ მოეწონათ ერთ-ერთი ჩვენი ინფორმაცია.

ცხადი იყო, რომ ნორმალური მუშაობის პირობები ჩვენ აღარ გვქონდა. ისიც, რომ არცერთი კომპანია სარეკლამო კონტრაქტს არ დადებდა რედაქციასთან, რომელსაც პრობლემები აქვს რეჟიმთან. ანუ, ვიდრე პირადად ჩემი ფინანსური შესაძლებლობები გაწვდებოდა რედაქციის შენარჩუნებას, მანამდე შევიწინარუნე, თუმცა 2009 წელს რედაქცია დაეხურო.

— ამით კონფლიქტი არ ამთავრდა? — სამწუხაროდ, რეჟიმთან კონფლიქტი არც რედაქციის დახურვის შემდეგ შეწყდა. ელ-ფოსტაზე მუქარებსა და სატელეფონო მუქარებს იმდენად აღარ ვაქცევდი ვერაფერს, მაგრამ სოც-ქსელებში ჩემი სახლის მისამართით რომ გაავრცელდა ვინმე ანონიმების მხრიდან მოწოდებები, რომ აქ სახელმწიფოს მტერი ცხოვრობს და უნდა გაუწიონ, ამან დამაფიქრა. მიზეზებიდან სხვადასხვა პირებს, ვითომ საქმიანი წინადადებებით, სინამდვილეში კი ანკესზე უნდოდათ წამოგება. 2009 წლის აგვისტოში სახლში მოვიდა ჩემთან (დარწმუნებული ვარ კუდი-ს წარმომადგენელი, უბრალოდ საბუთი არ წარმოუდგენია) რეჟიმის წარმომადგენელი და უკვე დახურული სააგენტოს ანგარიშებზე მილიონამდე ლარის გატარება შემოთავაზა, შესაბამისი გასამართლოს სანაცვლოდ, შედეგად კი ან ქვეყნიდან უნდა წავსულიყავი, ან უნდა შეთანხმებოდა რეჟიმთან, სხვა შემთხვევაში უსაფრთხოების გარანტიები არ მექნებოდა. მე, რა თქმა უნდა, უარი ვთქვი ამ წინადადებაზე, მაგრამ ცხადი კი გახდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გამერიდებინა ოჯახი რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას. როგორც მოგვიანებით გახდა ჩემთვის ცნობილი, ბელზე გამოგვისწვრია კრიმინალური რეჟიმისგან, თორემ ფაქტია, დღეს ცოცხლობი არ ვიქნებოდი.

კრიმინალური რეჟიმის მხრიდან არსებული საფრთხეზე თუნდაც ის ფაქტი მიანიშნებს, რომ იმავე 2009 წელს კონტრაქტულად ჩემი მომსახურების ვიზარაულო, რომ სააკაშვილის ბრძანებით) ჩემი პერსონალური მონაცემები გააყალბა, და ვერ დამაშინეს რა, ვერც დაჭრა და მისციდვა შეძლეს, ადგენენ და მოქალაქეობა გამოუქმეს. გააყალბეს კონტრაქტულად ჩემი პერსონალური მონაცემები, მათ შორის რუსეთის ფედერაციის მოქალაქის პასპორტი ჩემს სახელზე და გამომაცხადეს

რა რუსეთის მოქალაქედ, საქართველოს მოქალაქეობა ჩამომართვეს.

— კერძოდ, რა სახის, შინაარსის მასალებს აქვეყნებდით, რამაც ხელისუფლებას გაღიზიანება გამოიწვია?

— საინფორმაციო სააგენტო ITN Exclusive 2008 წლის აპრილში დაფუძნდა. ვაქტიურად საცდელ რეჟიმში ვმუშაობდით როცა საიტი ავამოქმედეთ. ქურნალისტებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, სააგენტო საზოგადოებრივ/პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ ვრელ სექტორს აშუქებდა, დაწყებული კულტურისა და სპორტის სფეროებით და დასრულებული ეკონომიკითა და პოლიტიკით.

უშუალოდ სააკაშვილის რეჟიმთან კონფლიქტს რაც შეეხება, პირველი მუქარის წერილები რედაქციის მაილზე 2008 წლის 1-2 აგვისტოს მოვიდა, მიზეზი ცხინვალის მიღებული ინფორმაციის გავრცელება გახდა, რომლის თანახმად, ქალაქის მიმართული ქართული მხარის მიერ კონტროლირებადი ერთ-ერთი სიმაღლიდან გაიხსნა ცეცხლი მსხვილკალიბრიანი სწიპერული შაშახანებით, იყო მსხვერპლი მშვიდობიანი მოსახლეობაში, რაც ერთ-ერთი აგვისტოს მოხდისაა. ცხინვალელმა კოლეგებმა მოგვაწოდეს ფოტო-მასალაც აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. ჩვენ რა თქმა უნდა გადავამოწმეთ ინფორმაცია, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში და ორივე მხარის პოზიციის დაფიქსირებით გავავრცელეთ ინფორმაცია. ანუ, ქურნალისტური სტანდარტი იმდენად იყო დაცული ჩვენი მხრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელი გახდებოდა. თუმცა სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებმა ასე არ ჩათვალეს, როგორც ჩანს.

მეკეთრად გაუარესდა რედაქციის მდგომარეობა 9-10 აგვისტოს, როცა იმ დროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ეკა ხელუღაძემ პირდაპირ ეთერში დაადასაშაუა ჩვენი რედაქცია ანტისახელმწიფოებრივ აქტიურობაში, რეჟიმის აგრესიის საბაბი კი ჩვენ მიერ გავცელებული ინფორმაცია გახლდათ. საუბარია ინფორმაციაზე, რომელიც ჩვენმა ქურნალისტებმა თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში პოსტიტალოზიზებული სამხედრო მოსამსახურეთაგან მიიღეს და კონფლიქტის ზონიდან დევნილი მოსახლეობისგან, აღნიშნული საზოგადოება იმ დღეებში აქციებს მართავდა თბილისის მერიის შენობასთან დახმარების თხოვნით. ინფორმაცია შეეხებოდა ქართული მხარის საერთო დანაკარგებს, ანუ დაჭრილებისა და დაღუპულების რაოდენობას სამხედრო მოსამსახურეთა შორის და მშვიდობიანი მოსახლეობაში.

ინფორმაციაში მითითებული იყო 1500-2000 ადამიანი, ეს ციფრი შემდგომში ფაქტიურად დადასტურდა, რამეთუ, ოფიციალური მონაცემებით მხოლოდ სამხედრო დანაკარგი შეადგენს 2000 მეტ ადამიანს, მშვიდობიანი მოსახლეობაში აღნიშნული მანქნელები არანაკლებია. ინფორმაციის გავრცელებამდე, რა თქმა უნდა, კომენტარი ვთხოვეთ თავდაცვის სამინისტროს, თუმცა მათ მხრიდან სტანდარტი იყო არც არაფრის დადასტურება და არც არაფრის უარყოფა.

ინფორმაცია გავავრცელეთ და ამას მოყვა რეჟიმის მხრიდან თავდასხმა, რაც გასაკვირი არ არის, გახსოვთ ალბათ, ვიდრე გორში არ შევიდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალები, სააკაშვილის რეჟიმის პროპაგანდა ჯავის ადებს და სამხედრო ოპერაციის დასრულებას აანონსებდა. ჩვენი ინფორმაცია ზუსტი გახლდათ და საზოგადოებას ჰქონდა უფლება ცოდნოდა ის თუ რა ხდებოდა რეალურად, მაგრამ ეს მაშინ არავის ახსოვდა.

— სასამართლოს არ მიმართეთ?

— 2015 წელს საშუალება მომეცა ადვოკატის მომსახურებით შესარგებლა და ადვოკატის დახმარებით ის გაეაღებოდა დოკუმენტაცია მოვიპოვე, რის საფუძველზე სააკაშვილმა ბრძანებული გაამოსცა ჩემთვის მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ. მიემართე სასამართლოს, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩემი სარჩელი „უკანონოდ ანულირებული მოქალაქეობის დაბრუნებასთან დაკავშირებით“. მოპასუხე მხარე პრეზიდენტისა და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების სახით, კრიმინალი სააკაშვილისა და მისი თანამშრომლების უკანონოდ დააწვევტილებას იცავდნენ. ამან მოსამართლეზეც იქონია გავლენა როგორც ჩანს. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააკაშვილისთვის სასამართლოში გავასაჩივრე. იმდენი იქ მაინც გამოვა სამართლის პოვნა.

დღევანდელ ხელისუფლებას იმას ვთხოვ მხოლოდ, რომ სააკაშვილის რეჟიმის მიერ უკანონოდ ანულირებული მოქალაქეობა დაიბრუნოს და აღმადგინოს უფლებებში, რამეთუ 8 წელია უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ვარ გამოკეტილი ოჯახთან ერთად, ვაქტიურად უუფლებო მდგომარეობაში და, საზოგადოების, ან გინდაც ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ნეგატიურად რომ აფასებდეს ჩემს პიროვნებასა და ჩემ ქურნალისტურ აქტიურობას, „სახჯელი“ მოვიხადე ალბათ.

მოსახლეობა ტკიპების სიმრავლეს უჩივის — ჩისი გამოწვევა შეუქცია მწერის ნაკბენს და როგორ უნდა დაიხვით თავი

ბოლო პერიოდში მოქალაქეები დედაქალაქის დასახლებულ ზონებსა თუ საქართველოს რეგიონებში ტკიპების სიჭარბეზე საუბრობენ. პარაზიტების მომრავლებით გამოწვეულ უკმაყოფილებას ზოგიერთი სოციალურ ქსელში გამოხატავს და სათანადო რეაგირებას ითხოვს. განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვების მშობლები დედავენ, რომლებიც სხვადასხვა დაავადების გავრცელების საშიშროებას ხედავენ.

რამდენად რეალურია ტკიპებისგან მომდინარე საფრთხე ჩვენს ქვეყანაში, რა ხერხებით უნდა დავიცვათ თავი პარაზიტებისგან და როგორ ხდება ტკიპის ნაკბენის დამუშავება — ამ თემაზე ქურნალისტი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს, პატა იმნაძეს ესაუბრა.

— ძალიან ბევრი ადამიანი ბოლო პერიოდში, ბუნებაში ტკიპების სიმრავლეს უჩივის. ისინი გარკვეული დაავადებების გავრცელების საშიშროებაზე მიუთითებენ. რამდენად რეალურია საფრთხე?

— ტკიპა იყო, ტკიპა არის და ტკიპა იქნება ბუნებაში. ახლა ტკიპები ადამიანებთან მიმართებაში აღარ არიან ისეთი აქტიურები, როგორც აქამდე. ტკიპა აქტიური იყო ცოტა ხნის წინ. ახლა ძირითადად, ცხოველებისკენ არიან მიმარ-

თული. ბევრი სისხლი აქვთ და ასე ვთქვათ, აღარ ინტერესდებიან ჩვენი სისხლით.

— მოქალაქეები საუბრობენ, რომ ლისის ტბაზე, კუს ტბაზე, თბილისის ზღვაზე, იპოდრომზე ტკიპების განსაკუთრებული სიჭარბეა. თქვენ თუ გაქვთ ასეთი ზონები მონიშნული?

— ეს არის განსაკუთრებული სისუფლე, რადგან ტკიპა ბუნებაში ყველაგანაა და შეიძლება ქალაქის ცენტრშიც იყოს, ბალშიც და ბალახზეც.

— რა საშიშროებას წარმოადგენს ტკიპის ნაკბენი?

— ტკიპის ნაკბენი არაფერს იწვევს, გარდა იმისა, რომ გავიწითლებს, შეიძლება და თუ ალერგიული ხარ, უფრო დიდი სიწითლე გექნება. ოღონდ, ეს იქნება ალერგიული რეაქცია. საქართველოში ძალიან დაბალი რისკია ყირიმ-კონგოს დაავადების და ცოტა უფრო მაღალი რისკია ლაიშის, იგივე ბორელიოზის დაავადების.

— რამდენად ჩემთვის ცნობილია, წელს, საქართველოში ყირიმ-კონგოს დაავადების სამი შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან ერთი ლეტალურად დასრულდა. როგორია სტატუსტიკა ლაიშის დაავადების გავრცელებასთან მიმართებაში?

— წელს ყირიმ-კონგოს დაავადების სამი შემთხვევა გვქონდა. აქედან ერთი, გაზაფხ-

ულზე ლეტალურად დასრულდა. საქართველოში წელიწადში ლაიშის დაავადების რამდენიმე ათეული შემთხვევა ვლინდება. მდგომარეობა საგანგაშო არ არის. მაშინ, ევროპაში, გერმანიაში, არაფერ უნდა წავიდეს, რადგან ჩვენზე გაცილებით მეტია გერმანიაში ლაიშით დაავადების შემთხვევები.

— ახასიათებს თუ არა ლაიშის, იგივე ბორელიოზის დაავადებას ლეტალობა, როგორც ყირიმ-კონგოს შემთხვევას?

— არა, ლაიშის დაავადება სასიკვდილო არ არის, მაგრამ საკმაოდ მძიმეა, თუ დროზე არ მიხედვ. ანტიბიოტიკებით მკურნალობა, ძალიან შედეგანია.

— შარშანდელთან შედარებით, თუ არის გაზრდილი ლაიშის დაავადების მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში?

— არა. ლაიშის, გავრცელებულია როგორც მთელ ევროპაში, ისე საქართველოში, თუმცა თუ 100.000 მოსახლეზე ვიანგარიშებთ, ევროპაში ლაიში გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე ჩვენთან. საქართველოში წელიწადში დაახლოებით 40 შემთხვევა გვაქვს.

როგორ უნდა დავიცვათ თავი ტკიპებისგან?

როცა ადამიანი ბუნებაშია, ტანი მაქსიმალურად დაცული უნდა ჰქონდეს, რომ ტკიპა არ შეგაცოდეთ. შარვალი წინდებში ჩაკეცილი უნდა იყოს.

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნაღისტ ბიორბი ჯალალანის რაზომ უნდა უბიძგო ან „ლაიმბერიო“ მებოქე, რაზომ უნდა ხელახლა მასში მბერს?



(გაგრძელება წინა ნომრიდან)

პირველივე თბომავალს გავეყვი! ფოთში შეუღამისას ჩავედი, შინ ფეხაკრებით მივედი, მაგრამ ვხედავ სინათლე არ ანთია და დარბებიც დახურულია. გულისკანკალით დავაკაკუნე. დედაჩემი შემეხმინა, რომელი ხარო? ბორია ვარ-მეთქი და ატეხა ყვირილი: სოლომონ, სოლომონ, ადექი, ჩვენი ბიჭი ჩამოსულაო! სიხარულისგან მამას გადაცმა დაავიწყდა, საცვლებსამარა იდგა და მიდიმოდა. ვუსაყვედურე, ეს რა ხუმრობა იყო-მეთქი?! დეპეშის ამბავი მეორე დღეს გავიგე: თურმე ბათუმის და ფოთის ნაკრებთა მატჩი საქართველოს პირველობაზე ფრედ 1:1 დასრულდა, ბათუმელებს კი შედეგი გაუპროტესტებიათ და გადათამაშება ნეიტრალურ მოედანზე, თბილისში დაუნიშნაო. მეგობრებს უფიქრიათ, ბორიას გარეშე ვერაფერს შევადგებოთ და დეპეშაც ამიტომ მომწერეს. ძალიან გაბრაზებული ვიყავი, არც დარჩენას ვაპირებდი, მაგრამ დედაჩემის თხოვნამ გაჭრა. თბილისში, ლენინის სახელობის სტადიონზე ვითამაშეთ, 2:1 მოვიგეთ. ორივე გოლი მე გავიტანე!

იმევე წელს ინსტიტუტის მეორე გუნდში მოხვდი. ჩემთან ერთად არჩილ კიკნაძე, მიშა ცენტურაძე, ვალიკო არსენიშვილი და ლევან დუღუშაურიც თამაშობდნენ. 1935 წელს პირველ გუნდში დავეინაურდი, რომელიც იმხანად საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი იყო: იურა კასრაძე, გვანია ჯორბენაძე, ჟორა ჭუმბურიძე, მიხეილ მინაევ, ვალია კოძისი, ვერმან კირილოვი, მიშა ბოლოტინი, სერგო სიხარულიძე, კაკო ყალიჩავა, დუკა რამიშვილი... კარგი ბიჭები იყვნენ!

1935 წელს დაუვიწყარი ტურნე გვექონდა დონბასში – ერთი თვის განმავლობაში 29 მატჩი გავმართეთ და ერთიც არ წაგვიგია! კაცმა რომ თქვას, არც არაფერი დაშავდებოდა, მაგრამ იმ დროს ჩვენს ლექსიკონში სიტყვები „წაგება“, „დავიღალე“ და „ღადარ შემოიღია“ არ არსებობდა!

1936 წელს თბილისის „დინამოში“ მოხვდი. დიდებული ფეხბურთელები დამხვდნენ: ალექსანდრე დოროხოვი, შოთა შავგულიძე, გრიგოლ გაგუა, მიხეილ ბერძენიშვილი, მიხეილ ასლამაზოვი, ნიკოლაი სომოვი, ედუარდ ნიკოლაიშვილი...

პირველ საკავშირო ჩემპიონატში მხოლოდ „ბ“ ჯგუფში დავეთქვე. საწყის შემხვედრაში მოსკოვის „სტალინეცთან“ არ მითამაშია. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. სამაგიეროდ, მომდევნო ტურში ცენტრალური თავდასხმელის ფუნქციას მე ვასრულებდი და დენაროპეტროუსკელები დიდი ანგარიშით 5:0 დავამარცხე! მომდევნო თამაშებშიც არ შევრცხვებულავართ და მალე „ა“, ანუ უმაღლეს ჯგუფში ასპარეზობის უფლება მოვიპოვე!

ჩვენი „დინამოს“ პირველი მწვერთელი ჟიულ ლიმბეკი ფრანგი იყო, ის თბილისში ჩეხოსლოვაკიდან ჩამოვიდა. საუკეთესო სპეციალისტი იყო, მისაბაძი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი. ბევრმა არ იცის, მაგრამ გეტყვი: ბასკი ფეხბურთელების მეგობრული შარვები, ერთ-ერთ გახეთქილ რომ გამოქვეყნდა მატჩის წინ, სწორედ ლიმბეკს ეკუთვნის. „დინამოში“ მან პიოტრ ორეხოვი შეცვალა...

მთავარ მწვერთელად რომ დანიშნეს, ლიმბეკმა წვრთნის პროცესში თითქმის მთლიანად შეცვალა. მაგალითად, თუ მის

მოსვლამდე მხოლოდ ერთი ბურთით ვვარჯიშობდით, ის ერთბაშად ხუთი ბურთით გვავარჯიშებდა. მისივე ინიციატივით, დღის და კვების რეჟიმის დაცვა დაევიწყეთ. მასხოვს, ამის გამო ყველაზე ძალიან გრიშა გაგუა იყო გულდაწყვეტილი. ამბობდა, ძველი დრო არ სჯობდა, ლობიოს და ტყეშალს გადომამდე რომ გჭამდიო?... ლიმბეკის მენიუ სადილზე ჭიქა შავ ღვინოსაც ითვალისწინებდა, მაგრამ ერთხელ ჩვენს შეკარეს შურა დოროხოვის ცოტა მეტი მოუვიდა, სხვების ჭიქებიც გამოცალა და ვარჯიშზე შეზარხოშებული გავიდა. ლიმბეკმა მიხეილი რომ გაიგო, იმ დღესვე ამოიღო ღვინო მენიუდან! მან „დინამოში“ მხოლოდ ნახევარი წელი დაჰყო, თუმცა უამრავი კარგი საქმის გაკეთება მოასწრო. სხვათა შორის, მის მიერ იყო ორგანიზებული ამიერკავკასიის საფეხბურთო მწვერთელთა ერთთვიანი შეკრება-სემინარი, რომელმაც დიდი ბიჭი მისცა ამ პროფესიის განვითარებას. სხვათა შორის, ლიმბეკი ლექციებს თავადაც კითხულობდა.

რაც დრო გადიოდა, დინამოელები სულ უფრო პროფესიონალები ხდებოდით. ახალგაზრდები ვიყავით და სახელ-დიდების გაძლევა, რა დასამალია და, გვიჭირდა. ერთ ამბავს მოგიყვებო: ერთ მშვენიერ დღეს შურა დოროხოვის ვარჯიშზე ეტლით მისვლა მოუნდა. თბილისის უკანასკნელი მეეტლეები მაშინ კინო „ოქტომბერთან“ იკრიბებოდნენ. მოკლედ, მივიდა ჩვენი შურა და ეუბნება, ფული არ მაქვს, წამიყვანე და ავლივზე გადავიხდო. მეეტლემ იუარა. შურამ არ დაიხია, ესა და ეს ვარ, „დინამოში“ ვითამაშობო... საბოლოოდ, ყველაფერი იმით დასრულდა, რომ გაბრაზებულმა მეეტლემ მათრახი გადაუჭირა. შურამ ორი დღე ვერ ივარჯიშა – ავადმყოფობა მოიმიხეზა!

იხეთ მატჩებს, როგორც „დინამოს“ და ბასკეთის ნაკრების დაპირისპირება იყო, არავინ ივიწყებს, ასეთი შეხვედრები იმთავითვე ისტორიის კუთვნილება ხდება! ბასკები შესანიშნავი ბიჭები იყვნენ, ნამდვილი მეტროლები! ახლაც თვალწინ მიდგას ისიღრო ლანგარას სახე და ყურში ჩამესმის მისი სიტყვები, რომელიც ფუნქციონირის პლატოზე მდგარმა მითხრა:

“თბილისი ძალიან ჰგავს ჩვენს ბილბაოსო...”

თამაშის შემდეგ დინამოელებმა სტუმრებს რესტორან „ორიანტში“ ეუმასპინძლეთ. შუა ქეიფის დროს რომელიღაც ჩვენიანმა „სულიკო“ წამოიწყო, ბასკები კი, ჩვენდა გასაკვირად, მას სასიამოვნოდ აჰყვნენ. დიდებული საღამო იყო! მერე გვითხრეს, რომ სტუმრებს „სულიკო“ არაერთხელ უმღერიათ მოსკოვსა და ლენინგრადში.

1941 წელს ჩვენ ჩემპიონატის მოგება შეგვეძლო, მაგრამ იცი თუ რამდენი შეგვიშალა ხელი. 22 ივნისს, როცა ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შესახებ შევიტყვეთ, ჯერ კიდევ არ ვიცოდით სინამდვილეში რა ხდებოდა, თუმცა მთავარი უკვე მომხდარიყო – ხალხის სულიერი სიმშვილე დაირღვა. 24 ივნისს, ლენინგრადში „დინამოს“ 32 მოვუგეთ და მოსკოვის „დინამოსთან“ ერთად ლიდერები გავხდით, თუმცა იმ ჩემპიონატში აღარ გვითამაშია. ჩვენ სრული შემადგენლობით შევეურთღით საბჭოთა არმიას – მე, მაგალითად, უშიშროების ორგანიზაციაში დავეწყე მუშაობა.

ფეხბურთის ომის დაწყებამდე ორ წელიწადში დაგებრუნდი. ერთ მშვენიერ დღეს თბილისის დინამოელები შეგვეკრიბეს და გვითხრეს, ამხანაგური თამაშებისთვის მოემზადებულიყავით. ერთ-ერთი მატჩი სტალინგრადში უნდა ჩავატარებინა, მიწასთან გასწორებულ ქალაქში. მატარებლით ჩავედი – ჩვენი, ფეხბურთელების ვაგონი სამხედრო შემადგენლობის ბოლოში იყო ჩაბმული. უნდა გენახათ ხალხი რა სიხარულით გვხვდებოდა – ადვილობრივ „ტრაქტორთან“ თამაშს უამრავი ადამიანი დაესწრო!

1943 წელს, როცა ომის ტურნედან საქართველოში გბრუნდებოდით, სოხუმში გავჩერდით სათამაშოდ. სწორედ მაშინ აღმოაჩინეს „დინამოს“ ხელმძღვანელებმა ავთანდილ ლოლობერიძე. ის ერთი შეხედვით სუსტად გამოიყურებოდა, მაგრამ შესაშური შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. „ბასა“ ფეხბურთისთვის იყო დაბადებული, ალალი, უეშმაკო, უტყუარი, საქმისათვის თავდადებული გახლდათ და ამიტომაც მალე მოიპოვა ავტორიტეტი!

სანტიამო ბაჟრო

მარსი წყალს იქ მალავს, სადაც მისი არსებობა შეუძლებელია



დედამიწიდან 56 მილიონი კილომეტრით დაშორებულ წითელი პლანეტის ზედაპირის ქვეშ იწვლის დიდი მარაგია. მეცნიერებმა ეს დასკვნები ზონდ Mars Odyssey-ის მიერ შეგროვებული მონაცემების ხელახალ ანალიზზე დაყრდნობით გააკეთეს. ამის შესახებ კურნალი ScienceAlert იტყობინება. ყინულის მარაგი პლანეტის ეკვა-

ტორის ნაწილშია განლაგებული. მკვლევარების თქმით, მარსის ევოლუციაზე არსებული წარმოდგენების მიხედვით, წყალი იმ ადგილებშია, სადაც მისი არსებობა სრულიად წარმოუდგენელია. Mars Odyssey მარსის ზედაპირიდან 3,8 ათასი კილომეტრის სიმაღლეზეა, რის გამოც, მას არ შეუძლია პლანეტის გრუნტში არსებული წყლების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა. ამის მიუხედავად, ზონდს იმ ნეიტრონების რეგისტრირება შეუძლია, რომლებიც კოსმოსური სხივებისა და წყალბადის შეჯახებისას წარმოიქმნება. სწორედ ამ დაკვირვებებმა მისცა მეცნიერებს წყლის რეზერვუარების აღმოჩენის საშუალება.

მომღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74
თბილისი, 0162, საქართველო
მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22
ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანაწორი ღანაშვილი,
ტელ: 571 22 66 34

გაზეთ „ილორისთვის“ ფინანსური დახმარების მსურველებს შეუძლიათ გადმორიცხონ თანხა შემდეგ საბანკო ანგარიშზე:
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“
ანგარიშის ნომერი: GE79LB0711188020717000
ანგარიშის №ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი საგალუტო ანგარიში
მფონ: 220101480

სამეგრელოს პოლიციამ დიდი ოდენობით „სუბოქსინი“ ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 1994 წელს დაბადებული გ.მ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით, ბათუმში დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 769 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამომიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მერ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

იუმორი

მისო ცოლის სადღეგრძელოს სვამს:
– ჯო, იგეთი კარგი ცოლი მყავს, იგეთი კარგი მეოჯახე, იგეთი ღამაზი და ჭკვიანი, რომა...
გვერდზე მჯდომი მიტუა აწყვეტინებს:
– მიხვავ, შენ იგურ აქებ მაგ ცოლსა, რომა, გაყიდვას ხომ არ უპირებ?

საინჟინრო სასწავლებელში პროფესორი გამოცდაზე ეკითხება სტუდენტს:
– რა პქვია წყლის დიდ საცავს?
– პრეზერვაუარი! – ისმის პასუხი.
– სწორია, მხოლოდ პ-ს გარეშე.
– აჰ, რეზერვატივი.

– 45 წლის ვარ და 30 წელია ერთი კაცი მიყვარს.
– ბედნიერი შენი ქმარი! იცის?
– გაგვიფიქრე?! მომიკლავს!

– მიწა გავხდებ ცნობილი კინოვარსკვლავი, რომ მთელმა მსოფლიომ ჩემზე ილაპარაკოს.
– არ გყოფნის, მთელი ქალაქი რომ შენზე ლაპარაკობს?

სასწავლო მეთოდი პრეპარატი „დომენოლი“ და „გაგენოლი“ მუღამი იქნებინან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში
დომენტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფრთხილებას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეპტურ ნაგვანტული სკლეროზს და შიდსს, შეუღის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქვენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, აფერებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.
მეურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზუა და დოდო.
კოორდინატები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.
ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48
მასთან სიცოცხლეზე ხელმძღვანელები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარკმ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალალანია
ბაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექნოლოგიური 568-01-21-32
ბაზეთი ხელმძღვანელობს თარგმანული პროექტის პირინციპებით ავტორებს ემხრობათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ „ილორის“ გაცნობა შეგიძლიათ „საქინფორმის“ ვებგვერდზე WWW.saqinform.ge